

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

ვერსია



60 თეთრი
ორშაბათი

№131 (1157) 21 - 22 დეკემბერი, 2015 წელი

მთხვაბათი

პარასკევი

საქართველო
ევროპული ოჯახის
წევრად აღიარეს!



საბოლოო წარმაცვებამდე
თვეებიც რჩება



ექსკლუზიური ინტერვიუ კულტურის მინისტრთან

მიხეილ გიორგაძე:
„ჩემმა და პრემიერის
მეუღლემ ერთმანეთი
რამდენიმე თვის
წინ გაიცნეს“

გვ. 4-5

რაგომ ჰყავს ყველაზე ბევრი პოლიტიკური კუკუკუს

ვინ ირიდებს
პასუხისმგებლობას
„ოცნებიდან“ — 2012 წლის
30 ნოემბრის სხდომის
ოქმი და 3 დეკემბრის
სკანდალური დადგენილება




გვ. 6

მთის კანონით გათვალისწინებული შეღავათები
2016 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება
როგორ მოვიპოვოთ მთაში
მუდმივად მცხოვრების სტატუსი

მერაბ კოსტავას უცნობი წერილი — „მოსახლეობის მიგრაციის შესახებ“

საქართველოს
ეროვნული გმირის
მოსაზრება
სიდუხჭირის
დასაძღვრად გვ. 8-9



სკანდალური საქმე, რომელშიც გივი თარგამაძე და გივი უგულავას მეუღლე ფიგურირებენ

ნათია კორკოცაძე:
„ღევან ფხავაძე უდანაშაულოა
და ვერავინ შეგვაჩერებს“

ბათომ ჯაფარიძე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიღებით, ბოლო წლების ყველაზე წარმატებული ნაბიჯი გადადგა. ევროპამ ერთხმად აღიარა, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრი და რაც მთავარია, ეს დოკუმენტურად გააფორმა. ახლა, საბოლოო წარმატებამდე, თითზე ჩამოსათვლელი თვეებიცაა დარჩა. საქართველოს წარმატება ევროპულ პარტნიორობასაც ახარებს და ისინი ხელისუფლებას წარმატებას ულოცავენ.

„საქართველოსთვის, უკრაინისა და კოსოვოსთვის ვიზალიბერალიზაციის მიზნებზე ევროკომისიის მიერ დადებითი ნაბიჯია. ნახალისყო ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომ ეს გადაწყვეტილება აღასრულონ“, — განაცხადა ევროპარლამენტის პრეზიდენტი, მარტინ შულცმა.

„რეფორმებს მოაქვს ნამდვილი სიკეთე თქვენი მოქალაქეებისთვის!“ — ამბობს ევროკომისიის ოპიზონის პანი.

„დიდხანს ნანატრი და დამსახურებული ამბავი“, — ასე აფასებს ევროკომისიის დადებითი ანგარიშს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩიუსი.

„ევროკავშირმა გადაწყვეტილება დროულად უნდა მიიღოს“, — წერს ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკევიჩსი. დადებითი ანგარიშთან დაკავშირებით ევროკომისია „ტიტერის“ ოფიციალურ გვერდზე ამ ფორმით იუწყება: „საქართველო აკმაყოფილებს ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმებს“.

სავიზო რეჟიმის გამარტივებას უდიდეს წარმატებას უწოდებს საქართველოს მთავრობის მეთაური ირაკლი ლარიბაშვილი. სწორედ მისი და მისი კაბინეტის დაუღალავი შრომის შედეგია ის, რასაც მივიღებთ და რის განხორციელებასაც ბევრს ეჭვი ბოლომდე ეპარებოდა.

„დღეს ჩვენი ქვეყნის, მისი თითოეული მოქალაქისთვის ისტორიული დღეა. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველომ გადადგა ნაბიჯი, რომელიც, დიდწილად, განსაზღვრავს ჩვენს მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. ცოცხალი ხნის წინ ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ყველა ასე მოუთმენლად ველოდით. კომისიამ ცალსახად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განხორციელდა. ეს არის პრინციპული თანხმობა უფრო მიმოსვლაზე! სწორედ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენ უკვე მივიღებთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ამის შემდეგ ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური შეფასება ვიზალიბერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენების უწყვეტ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მომდევნო წლიდან საქართველოს მოქალაქეებს უნდა მიეცეთ ევროკავშირში უფრო მიმოსვლის შესაძლებლობა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქეები ხვალე აიღებენ ბილეთებს და ევროპაში უფრო გაემგზავრებიან. საბოლოო გადაწყვეტილებამდე გასავლელია გარკვეული ეტაპები, რაც სხვა ქვეყნების გამოცდილებით, რამდენიმე თვეს მოიხარება. თუმცა, ქვეს ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ევროკავშირმა, ფაქტობრივად, აღიარა ჩვენი განუხრელი ერთგულება ევროპული ფასეულობებისადმი, საქართველოს წინსვლა ევროპული თანამეგობრობის კენსწარფვის გზაზე, ის თანმიმდევრული ძალისხმევა, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ გასწავსა რეფორმების სწრაფად და ეფექტურად განსახორციელებლად. ამ შრომამ ევროპული კოლეგების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერი სახელმწიფო ვართ.“

დღეს ჩვენ თანამედროვეთა და მრავალი თაობის, ჩვენი წინაპრების ოცნება ავიხდინეთ. მიუხედავად მრავალი შიდა თუ გარეინფლაციებისა, ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით შედეგი მიღწეულია. ამ ისტორიული გადაწყვეტილებით ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. საქართველოს წინაშე სრულიად ახალი შესაძლებლობები ისახება. ევროპულ ბაზარსთან დაკავშირების სწრაფად და ეფექტურად განხორციელება, ყველა დონეზე ურთიერთობათა გაღრმავება, ქალაქების დაძლიერება, სტრუქტურული და სამოქალაქო გაცვლითი პროგრამები, ევროპის ასოციაციებში განხორციელება, თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან - სულ მალე ეს ყველაფერი სრულიად ახალ, უფრო ღრმად და შინაარსიან განზომილებას შეიძენს. ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირში ნახევარი წლის განმავლობაში 90 დღის მანძილზე უფრო შეხვდნენ ევროკავშირის წევრებს ქვეყანაში. შედეგობათ ევროპაში ბარიერების გარეშე იმოგზაურობთ ოჯახთან ერთად, დაგვემოსთაქმინოთ ვიზიტი, ეწვიოთ მეგობრებს, ნათესავებს, ჩაერთოთ საზაფხულო სეზონში, მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციებში თუ გამოფენებში და ა.შ. ევროპასა და საქართველოს შორის შთამბეჭდავი თანამშრომლობის ამ მაგალითის უკან დგას მრავალი ადამიანის ძალისხმევა, ჩვენი ქვეყნის ყველა საჯარო სტრუქტურის პროფესიონალიზმი. ასევე, უდიდესი მხარდაჭერა, რომელსაც ევროპული პარტნიორობისგან, ევროკავშირისგან წლების განმავლობაში ვიღებთ. ჩვენ ეს გზა ერთად გავიარეთ.

ევროპა არის არა უბრალოდ რაციონალური არჩევანი, არამედ ეს ჩვენი ისტორიული სახლი. ამ სიტყვაში — ევროპა — განსახიერებულია ყველაფერი, რისკენაც ჩვენი ერი მიისწრაფის. ეს არის თითოეული მოქალაქის თავისუფლება და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა და თანასწორობა, მშვიდობა და ნათელი მომავალი ჩვენი შვილებისათვის, განვითარების პირობები ყველასათვის. რაც მთავარია, ესაა ჩვენი უნიკალობის, თვითმყოფადობის სრულად რეალიზების ახალი სივრცე. ესაა გზა საქართველოს ერთიანობისკენ. მხოლოდ თანამედროვე ევროპული ქვეყნის შენებით გავხდით ჩვენი ქვეყანას მიმზიდველს აფხაზი და ოსი ძმებისთვის. დადგება დღე, როცა ისინიც სრულად ისარგებლებენ სიკეთებით, რაც ევროპულ ინტეგრაციას მოაქვს. ეს წარმატება არის ახალი გზის დასაწყისი. კიდევ ერთხელ გილოცავთ ჩვენი ქვეყნის ამ და ჩვენი ხალხის ამ დიდ გამარჯვებას! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“, — განაცხადა პრემიერმა.

ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმას მთავრობის ადმინისტრაციამ

ტრაცია სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა და დეტალურად განმარტა ის, რას მივალნიეთ და რა იქნება მომავალი.

„სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის თანახმად, ჯამში მიღებულია 65-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება, 80-მდე კანონქვემდებარე აქტი, 9 ეროვნული სტრატეგია და რატიფიცირებულ იქნა 7 საერთაშორისო კონვენცია; მოდერნიზებულია მიგრაციის მართვის პოლიტიკა და გატარდა მთელი რიგი სისტემური რეფორმები იმიგრაციისა და ემიგრაციის ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით; მიღებულია ახალი რეგულაციები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის საფუძველზე ისევე, როგორც კანონი ერთობლივი მიგრაციის შესახებ, მიგრაციის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, მიგრაციის სტრატეგია 2016-2017 წლებისთვის და მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემა;

ამასთან, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმის შექმნის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის შიგნით კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენაზე, დაკავებასა და ქვეყნიდან გაძევებაზე. ასევე, შეიქმნა სრულიად ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მექანიზმი — სასაზღვრო მიგრაციის მართვისა და მოხსენებების

შემდგომი გაფართოების მიზნით, მზადდება საკანონმდებლო ცვლილებები.

გარდა ამისა, წარმატებით მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, რასაც მონიტორინგს უწევს უწყებათაშორისი საბჭო პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით შემუშავდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგია 2015-2020 წლებისთვის, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა“, — ასეთია განცხადების სრული შინაარსი.

„ყველა, ვისაც აქვს ქართული პასპორტი, ისარგებლებს ვიზალიბერალიზაციით. ეს ნიშნავს, რომ შენგენის ზონაში უფროდ ჩასვლის შესაძლებლობა ექნება ყველას, ვინც ჩავა 90 დღით 180-დღიან პერიოდში. ეს რეჟიმი არ იძლევა შენგენის ზონაში დასაქმების საშუალებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს შესაძლებლობა, თუ ის შესრულდება, დაეხმარება სულ უფრო მზარდ რაოდენობას ქართველებისა, თავისუფლად იმოგზაურონ შენგენის ზონის ქვეყნებში. ხელს შეუწყობს ჩვენი თანამშრომლობის განვითარებას, დააკავშირებს ჩვენს ხალხებს ერთმანეთთან. მობილურობის თავისუფლება, ადამიანების უშუალო კონტაქტები ქვეყნებს შორის წარმოქმნის უამრავ შე-



საქართველო ევროპული ოჯახის წევრად აღიარეს!

საბოლოო წარმატებამდე თვეებიცაა რჩება

სისტემა. პროგრამის გამართული ოპერირებისათვის განახლდა სასაზღვრო გამტარი პუნქტების შესაბამისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების შესაბამისად აშენდა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა დროებითი განთავსების ცენტრი; მიმდინარეობს აქტიური საინფორმაციო კამპანია ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, არალეგალური მიგრაციის აღკვეთისა და თავშესაფრის საკითხებზე;

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თავშესაფრის პოლიტიკის სფეროში არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით. შეიქმნა დამატებითი სტრუქტურული ერთეულები, დაიხვეწა პროცედურები, შემუშავდა მოულოდნელი ნაკადების მართვის სტრატეგია და განისაზღვრა დამატებითი გარანტიები თავშესაფრის მაძიებელთათვის (მაგ: უფასო იურიდიული დახმარება); გატარდა ღონისძიებები ტრეფიკინგის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს სრულყოფის მიზნით, კერძოდ ინსტიტუციების გაძლიერების, სერვისების გაუმჯობესების, პროაქტიური გამოძიების მეთოდებისა და მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის დახვეწის მიმართულებით;

შეიქმნა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც ალჭურჯილისა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების უფლებამოსილებით. ექსპერტებმა გადაამზადეს 25 ინსპექტორი და განხორციელდა 100 ინსპექტირება სახელმწიფო და კერძო კომპანიებში; მართლმსაჯულების რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პროკურატურის რეფორმა. საკანონმდებლო ცვლილებებით, პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შემოღებულია დამატებითი გარანტიები;

არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით შემუშავდა და მიღებულია საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონი, რომლის საფუძველზეც იქმნება ეფექტური, გამჭვირვალე და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული საჯარო სამსახური; შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე განისაზღვრა საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების სისტემატური მონიტორინგის მექანიზმი; განისაზღვრა პირდაპირი (გამარტივებული) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი კრიტერიუმები;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შეიქმნა და ეფექტურად ფუნქციონირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რომლის მანდატიც ვრცელდება საჯარო (სამართალდამცავი სტრუქტურების ჩათვლით) და კერძო სექტორებზე; შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გამკაცრდა სანქციები საზღვარზე ნაღდი ფულის გადატანასთან დაკავშირებით და შემუშავებულ იქნა დეკლარაციის ახალი ფორმა; გაიმყინა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკების ფლობისა და გასაღებისთვის. ნარკოტიკების ფლობისთვის სანქციები შემსუბუქდა, ხოლო გასაღებისთვის კვლავ მკაცრი ზომებიცაა გათვალისწინებული;

საქართველო განაგრძობს „დღისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის ეფექტური იმპლემენტაციას. სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა დღემდე 117 საქმე განიხილა. ამასთან, სახალხო დამცველის მანდატის

საძლებლობას. თუ ეს სისტემა ამოქმედდება, დარწმუნებული ვარ, უფრო და უფრო მეტ ქართველს ენახავთ, რომელიც უშუალო სარგებელს მიიღებს ცხოვრებაში. ჩვენ თავად ვიქნებით დინტერესებულნი, ვნახოთ, თუ რა უშუალო სარგებელს მოიქვანს ეს ურთიერთობები, რომ ეს ყველაფერი გამოყენებული იყოს, რათა შეიქმნას პირობები ყველასთვის, რომ ისარგებლონ უპირატესობით. რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, ყველას, ვისაც აქვს ქართული პასპორტი, შეუძლია ისარგებლოს ამ უპირატესობით. შემიძლია, მხოლოდ დაახლოებით დრო ვითხრათ იმისა, თუ როდის შეძლებენ საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უფროდ მიმოსვლას. ევროკომისია წარადგენს თავის წინადადებას ევროკავშირის საბჭოში და შემდეგ უკვე დაიწყება დისკუსიები. პროგრესი ამ გზაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპარლამენტარების ხელშია. იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც გვექონდა მოლოდინს შემთხვევაში, დრო კომისიის პროგრესის ანგარიშიდან ვიზალიბერალიზაციის მიღწევამდე იყო დაახლოებით 4-დან 5 თვემდე. ეს არის დაახლოებით დრო, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ საორიენტაციოდ, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ ეს არ არის საიმედო დასაყრდენი, რადგანაც შესაძლოა, სხვადასხვა ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყოს“, — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა.

„მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი!“ — ზურაბ ჟვანია მიერ წლების წინ ნათქვამი ფრაზა სწორედ ახლა ახდა და მისმა კოლეგამ, დავით უსუფაშვილმა სამემოდგომო სესია სწორედ ვიზალიბერალიზაციის თემით დახურა: „ჩვენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით იმ ცივილიზაციისკენ, რომელიც 21-ე საუკუნეში საზღვრებს აუქმებს და არა იმ ცივილიზაციისკენ, რომელიც საზღვრებს აკებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და გილოცავთ ყველას. ვულოცავ თითოეულ მოქალაქეს. ტექნიკურად, კიდევ დარჩენილია გარკვეული სამუშაოები მანამ, სანამ თითოეული ქართველი ღირსეულად თავანული იმოგზაურებს ევროპაში, ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ეს არის დიდი მიღწევა ჩვენი ხელისუფლების, წინა ხელისუფლების, ძალიან ბევრი კონკრეტული ადამიანის, რომლებმაც იმრომეს ამ მიმართულებით“.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ შესრულა ყველა მოთხოვნა, რომელიც ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზით იყო გათვალისწინებული — ბლოკი 1: დოკუმენტების, მათ შორის ბიომეტრიული დოკუმენტების უსაფრთხოება; ბლოკი 2: საზღვრების ინტეგრირება, მიგრაციის მართვა, ლტოლვილთა საკითხებზე პოლიტიკა; ბლოკი 3: საზოგადოებრივი წესრიგი და კონტროლი: ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და კორუფციის პრევენცია და ბრძოლა, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობა, ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, ნარკოტიკები, სამართლებრივი თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებსა და თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებს შორის, ასევე მონაცემთა დაცვა; ბლოკი 4: საგარეო ურთიერთობა და ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის გადაადგილების თავისუფლება საქართველოს შიგნით, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სამგზავრო დოკუმენტების გაცემის პროცედურები, მოქალაქეების უფლებები, მათ შორის უმცირესობათა დაცვა.

საბოლოო წარმატებამდე თითოეულ დასათვლელი თვეებიცაა დარჩა...

ენიმო კომპანიი
599-95-33-16

„პოლიტპატიმრების სკანდალი“ ამოუნურავი აღმოჩნდა. ვინაიდან ძველი სახეები, ასევე, ფაქტები რატომღაც ახლებურად გაუღერდა, მაშინ ქრონოლოგიას მივყვით და ყველაფერი გავიხსენით. ერთი შეხედვით, უცნაურია, როგორ მიება სამართლებრივად სრულიად სხვა ლონსიძე — შეწყალება პოლიტპატიმრების სიას, რაც პარლამენტის ერთგვრადი აქტი იყო და 2012 წლის დეკემბერში შესაბამისი დადგენილების პროექტიც გამოიცა. როგორც გაუთავებელი დებატებიდან იკვეთება, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ვინც პოლიტპატიმართა სიაში ვერ მოხვდა ან ვერ მოვახებდრეთ, შეწყალების კომისიაში გაეშვათ. როგორც სიამოვნო მოხვედრა კი ფასიანი იყო, — სულ ესაა მთელი ამ სკანდალის ლაიტმოტივი, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ყველა „ოცნების“ ორ დეპუტატს ედავება, სიები თქვენ გაყიდეთ, ჩანს, არავის ახსოვს არც ის სხდომა და არც მისი ოქმი, რომელიც „ვერსიამ“ ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბრის დასაწყისში მოიპოვა.


უფლებათდამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარტიები, მათ შორის ნაციონალურიც და მათთან დაკავშირებული ცალკეული „ენჯელონიკებიც“, სიების გარშემო გამართულ ყველა თუ არა, გადამწყვეტ თათბირებსა და გარჩევებს მაინც ესწრებოდნენ და ნაციონალურ ისიც პირდაპირ აქეთ ნათქვამი, „ოცნებას“ ბევრი პირის სიიდან ამოღება გადავაფიქრებინეთო, თუმცა ამოღებაზე კი არა, დღეს იმაზეც არაა საუბარი აქტიუალური, ვინ რამდენი კაცი ჩასვა, ჩატენა თუ გააპარა სიაში. ჩვენ კი სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტზე განხილულ იმ ოქმს გთავაზობთ, რომელსაც სხვადასხვა საქმისა და პარტიის მიხედვით ჩამონიკნიკებული სია ახლავს.

ვისი კახი ვის სიაშია

2012 წლის 3 დეკემბრის დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მთელი შემადგენლობის მიერაა მიღებული. ოქმში, რომელიც „ვერსიამ“ ქუთაისში, ამ დახურული სხდომის დამთავრების შემდეგ, საკანონმდებლო მაცნეში ოფიციალურად გამოქვეყნებამდე მოიპოვა, როგორც კომიტეტზე სამუშაო დოკუმენტი, კონკრეტულ პარტიებს კონკრეტული პოლიტპატიმრების რაოდენობა აქვს მიწერილი, გვარების თანხლებით, თუმცა როცა ეს სია საიტზე აიტვირთა და კომიტეტსგარეთ დეპუტატებს ჩამოურთავდა, მასში შეყვანილი პოლიტპატიმრები პარტია-პარტია აღარ იყვნენ დაყოფილი. არ შეცვლილა რაოდენობა, მაგრამ შეიცვალა ფორმა, აიტიმო დღეს ცოტასთვის თუა ცნობილი, რომ მაგალითად, კახა კუკავას პარტიას, ამ დოკუმენტის მიხედვით, 40-მდე პოლიტპატიმარი ერიცხება, ნაციონალურების მიერ არჩევენამდე ნათრევ-დაყადლებულ „ოცნებას“ კი სულ — 5. „ვერსია“ ამ პარტიებისა და პარტიების რაოდენობის ჩამონათვალს გთავაზობთ: სიას „26 მაისის საქმე“ ხსნის და მასში 47 პოლიტპატიმარია შეყვანილი. მათ შორისაა ვთხ სალუქვაძე, რომელიც დღეს უკვე „ოცნებელი“ და გურიის გუბერნატორია. ისე, ამ სიაში მყოფ რამდენიმე ადამიანზე გივი თარგამაძე მაშინვე აყვირდა და განაცხადა, ესენი არც ბურჯანაძესთან ყოფილან და არც 26 მაისის აქციისზეო. მათგან ერთი მკვლელობაშიც კი იყო ბრალდებული, თუმცა რაკი ერი შეთანხმდა, რომ რასაც ნაციონალურები ამბობენ, ყველაფერი, აპრიორი, ტყუილია, მაშინ თავი ამით დავიშვებოდა და სია გავაგრძელო, სადაც 26 მაისის საქმეს ამავე მოვლენებთან დაკავშირებული „ყინვისის შეთქმულება“ მოსდევს, რაც, რეალურად, ნინო ბურჯანაძის სიის გაგრძელებაა და მასში 24 ადამიანია პოლიტპატიმრად შეყვანილი. „გრეჩიხების“, ძმები გაჩეჩილაძეების მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ნილი პოლიტპატიმრების სიაში შეტანა მოკრძალებულია და 4 კაცი თქვენი მომხრეებია. მათ შორისაა ჯაშუში, „გრუ“-ს ქსელის კოორდინატორი იური შკრილინიკოვი, ასევე რუსეთის მოქალაქე არმენ გევორქიანი, რომელიც „გრუ“-ს შეიარაღებული ძალების სამხედრო საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა. რუბენ შიკოიანი, რუსეთის მოქალაქე, რომელსაც გაჰქონდა ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტების შესახებ და ა.შ. ისინი ნაციონალურმა სამხედრო მასშტაბური სპეცოპერაციით დაიჭირეს, მაგრამ რაკი შეთანხმდით, რომ რასაც ნაციონალური ამბობენ, ტყუილია, შესაბამისად, „ოცნებამ“ ყველა ჯაშუშიც პოლიტპატიმრად მიიჩნია და ციხის კარი გაუღო. პოლიტპატიმრების სიას ოქრუშვილისა და „გრეჩიხების“ ტანდემი აგრძელებს და „ქართულ პარტიას“, ამ დოკუმენტით, 10 პოლიტპატიმარი ჰყავს. საინტერესოა, რომ 2011-2012 წლების ბატალიების ავანგარდში მყოფ „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ 5 პოლიტპატიმარი ჰყავს. „სახალხო მართლმადიდებლურ მოძრაობას“ — 8. ეს მალხაზ გულაშვილის მიერ შექმნილი მოძრაობაა, რომელმაც „კავკასიაში“ შეჭრა და ცემა-ტყეპის გაჩაღება გადამწყვიტა. ასე იქცნენ „რუსეთში“ ბიჭები — შოთა აფხაიძე, გიორგი ვაბუაძე და სხვები პოლიტპატიმრებად.

სიას აგრძელებს ახალგაზრდული ორგანიზაცია „სამოქალაქო ფრონტი“, რომლის წევრები მუდმივი აქტიურობითა და უზრდელობით გამოირჩეოდნენ და 6-კაციან ჩამონათვალს გთავაზობს. მათ შორისაა სულ მცირე, ათჯერ დაჭერილი მელოდი ვანჩაძე. ლევან გაჩეჩილაძისდროინდელი „გაერთიანებული ოპოზიციიდან“ პოლიტპატიმრად მხოლოდ 3 ადამიანია მიჩნეული, „ეროვნული ფორუმიდან“ — 3, ზვიად ძიძიგურის „კონსერვატორებიდან“ — 3, ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატებიდან“ — 2.

რაგომ ჰყავს ყველაზე ბევრი პოლიტპატიმარი კუკავას



როგორ შედგა პოლიტპატიმრების სია და ვინ ირიდებს ჰასუხისმგებლობას „ოცნებიდან“ — 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომის ოქმი და 3 დეკემბრის სკანდალური დადგენილება

აი, კახა კუკავას „თავისუფალ საქართველოს“ კი, ალბათ, იმდენი წევრიც არ ჰყავს, რამდენიც პოლიტპატიმარი — სიაში 37 კაცი ირიცხება, რაც ოდიოზურია. მათ შორის არიან: 2 კვ. პერიონის შემოტანისთვის უვადო პატიმრობამისჯილი ფრიდონ დევრიძე, რომელსაც, როგორც ამბობენ, სიაში მოსახვედრად რეკომენდაცია ფატი ხალვაშვილი გაუწია, ქურდული სამყაროს წევრობისთვის დაპატიმრებული ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე, მომღერალ მარია თხელიძის მამიდა, ყოფილი პროკურორი ნანა თხელიძე, ბენზინგასამართი სადგურებისა და ნავთობტერმინალების მფლობელი, „მაგნატის“ დამფუძნებელი, ბიზნესმენი ჯემალ ლეონიძე. კონტროლის პალატის ექსტრემიზმის განყოფილების, სულხან მოლაშვილის ძმა, პოლიკონიკი თორნიკე მოლაშვილი; მწერალი მერაბ რატიშვილი, რომელიც ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისთვის დააკავეს და სიაში სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად მოხვედრას ბოლომდე აპროტესტებდა. მკვლელობის მცდელობის გამო დაპატიმრებული ზურაბ შალიკიანი, რაზეც ამ დღეებში სკანდალი ატყდა; კახაკების გენერალად მიჩნეული ტრისტან ნითელაშვილი; ბესო ხვინთელიანი, რომლის გვარსაც აფიოტაფი მხოლოდ ახლა მოჰყვა და როგორც ამბობენ, ბესელია-კობახიძეს მისგან დიდძალი თანხა აქვთ აღებული. კუკავას სიაშია ცნობილი „ჯაშუშების“ საქმიდან ვიცე-პოლიკონიკი სერგეი ჩაპლიგინი და სხვები. მოკლედ, ეს პოლიტპატიმრების სია „ოცნების“ ორი ქალის „ყურნალიდან“ კი არა, საერთო ოპოზიციური „კინოდასა“, თუმცა ჩვენნი და ინტერესება იმან უფრო გამოიწვია, რა აქვს ამ ხალხს საერთო კახა კუკავასთან და როგორ აღმოჩნდნენ ისინი „თავისუფალი საქართველოს“ სიაში.

არის, სია სამუშაო ჯგუფში დაინერა და მას ჰკითხეთ. ისე, ლოგიკური იქნებოდა, ჩემთვისაც დაეძახათ, რადგან რაც პოლიტპატიმრებზე მაქვს ნამუშევარი, იმდენი სხვებს ნამდვილად არ აქვთ, მაგრამ მაშინ კუკავა მოდაში არ იყო და ჩემი დაძახება საჭიროდ არ ჩათვალეს. სამაგიეროდ, ზაქარია ქუცნაშვილისა და კიდევ ვიღაცების ლობობებით, სიაში ხალხი ჩაამატეს, თუმცა ისევ ვერ ვიტყვი, რომ ამ სიაში ყველა ფინანსური ინტერესის გამო ჩაამატეს. თავად ჰკითხეთ ამ ხალხს, რატომ არ მიაწერა ეს გვარები „ოცნებას“ და მიაწერა ჩემს პარტიას“.

როგორც კუკავამ განაცხადა, ამის შესახებ განცხადება 17 დეკემბრის, პარტიის საიტზეც ატვირთეს და საზოგადოებისთვის განმარტება გააკეთეს. განცხადებაში დაკონკრეტებულია, რომ 190-კაციან სიაში შედიოდნენ 2007-2012 წლებში დაპატიმრებული პირები სხვადასხვა პარტიიდან, სიის საბოლოო ვარიანტი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა, პროექტი მოამზადა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა და არასამთავრობოებისა და პარტიების მიერ პარლამენტში გაგზავნილ სიას შემდეგი ადამიანები დაემატნენ: სოხაშვილი პაატა, ბიზნესი ზურაბ, სამადალაშვილი გიორგი, ჯოლბორდი კახა, დვალი კახა, ხუცურაული ვაჟა, მუმლაძე რევაზ, ნეფარიძე ზურა, დემეტრაძე გიორგი, ზავრაშვილი გიორგი, ლეონიძე ჯემალ, მურმანაშვილი ტარიელ, აღიშნარაშვილი დავით, ფარემიშვილი მამუკა, მინჯიკაშვილი ზვიად, ყველაშვილი ივანე, სვანიძე პაატა, ლონდარიძე დავით, გორელაშვილი გიორგი, ჩაპლიგინი სერგეი, ექვთიმეიშვილი გივი, გველესიანი შალვა, დალაქიშვილი ილია, ბაჩიაშვილი დავით.

ასევე, ძებნილი პირები: გოგუა გურამ, გიგაშვილი თემურ, რაისიანი ელვიკ, ვეტრიაკოვი გონა, ბეგიაშვილი დავით, ქარქუსოვი იანიკ, ქარქუსოვი ჯემალ, ხალვაში ტარიელ, ბაბოიძე მალხაზ, რამიშვილი ილია, შენგელა თემურაზ, ბარამიძე გრიგოლ.

იმ ოქმის მიხედვით, რომელსაც „ვერსია“ აქვეყნებს, გიორგი დემეტრაძე, ჯემალ ლეონიძე, ტარიელ მურმანაშვილი, დავით აღიშნარაშვილი, მამუკა ფარემიშვილი, ზვიად მინჯიკაშვილი, ივანე ყველაშვილი, პაატა სვანიძე, დავით ლონდარიძე, გიორგი გორელაშვილი, სერგეი ჩაპლიგინი, გივი ექვთიმეიშვილი, შალვა გველესიანი, ილია დალაქიშვილი, დავით ბაჩიაშვილი და ვახტანგ მაისია სწორედ კახა კუკავას თავისუფალი საქართველოდან წარდგენილი პოლიტპატიმრები არიან.

„ვერსიამ“ ეს კითხვები კახა კუკავას დაუსვა, რომელმაც მოულოდნელი განმარტება შემოგვთავაზა: „რეალურად, რაც ხდება, რამდენიმე დამოუკიდებელი პროცესია: შეწყალება პრეზიდენტის უფლებაა. ამნისტიით გამოდის ადამიანი, როცა კონკრეტულ მუხლს ხეხვა ცვლილება. პოლიტპატიმრების სია კი იყო დადგენილება, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. ამ თემების გაერთიანება, უბრალოდ, სპეკულატორებაა და ამას ახლა ნაციონალურად დაკავშირებული სხვადასხვა პირი და ორგანიზაცია აკეთებს. ერთი ამბავი ბოჭორიშვილზე ატყდა, რომელიც საერთოდ არ არის პოლიტპატიმრების სიაში, რადგან მისი იქ ჩაწერა საკუთარ გუნდს, რესპუბლიკელებსაც კი ეუხერხულა, ამიტომ გადაწყდა, ეს საქმე უფრო კულტურულად გაკეთებულიყო. კიდევ ერთი განსხვავება შეწყალებასა და პოლიტპატიმრების სიას შორის ისიცაა, რომ სია ყველა ეტაპზე საჯაროა, შეწყალებულთა გვარები კი მხოლოდ პოსტფაქტუმ საჯაროვდება და როგორც წესი, არავის აინტერესებს. შესაბამისად, ამიტომ გადაწყვიტა მანანა კობახიძემ თავისი კლიენტის, ნუგზარ ბოჭორიშვილის ამ გზით გამართლება, რადგან საქმე ასე უფრო ჩუმად და უხმაროდ მოხერხდებოდა, თანაც ისე, რომ შეეძლო მისი პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის გადაბრალება შეძლებოდა. რაც შეეხება თავისუფალი საქართველოს სახელით გასულ სიას: ჩემი პარტიის წევრი ამ სიაში სულ ორი ადამიანია — კახა ხაინდრადა და გიორგი ახალკაცი. პარლამენტიდან დავითრეკეს და გვთხოვეს, გადაგვავანა სია. ასეც მოვიქციეთ და შევიძლიათ ნახათ, ვის ვაძლევთ რეკომენდაციას და ვის — არა. დანარჩენები კი მას მერე ჩაემატა, რაც ეს სია პარლამენტს გადაეგზავნა. ჩვენს ვარიანტში ცვლილებები შევიდა, ვიღაცები მოაკლდა და ისე მოხდა, რომ დანარჩენები თვითონ მოგვანერეს. მაგალითად, ვახტანგ მაისიაა, რომელიც არც წევრი ყოფილა და არც მხარდამჭერი. თავისუფალ საქართველოსთან არაფერი აკავშირებს, მაგრამ ადგენს და თავისუფალი საქართველო მიაწერს. იგივე მოხდა ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის შემთხვევაშიც. ეს ხალხი ჩვენ არ გვიკავშირდება და ვინმე ვერც იმას იტყვის, რომ დემეტრაძემ ჩემს სიაში მოსახვედრად ფული გადაიხადა“.

„ვერსიის“ კითხვა, აქამდე რატომ არ გააპროტესტა ამ ხალხის მიწება ან რატომ მიაწერა კომიტეტმა ეს ხალხი მაინცდამაინც კუკავას და არა, მაგალითად, „ქართულ ოცნებას“, კახა კუკავა ასე პასუხობს: „პარლამენტის განხილვებს საერთოდ არ ვესწრებოდი, ეს სია არც მინახავს. ეს ჩვენი ვარიანტი არ

ვისი კახი ვის სიაშია პოლიტპატიმრების სიის შედგენა-დაშლიდან

2012 წლის 3 დეკემბრის დადგენილების პროექტი „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა“ შესახებ ის საბოლოო დოკუმენტია, რომლის მერეც პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა ჩამონათვალი არ შეცვლილა. სხვათა შორის, დადგენილების პროექტის ავტორი მანანა კობახიძე არაა, ის არც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრია. გაგიკვირდებოდათ, ამ დადგენილების ავტორი არც კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და არც მისი მოადგილე გედევან ფოფხაძე არიან — დადგენილება მთელ კომიტეტს ეკუთვნის, რომლის შემადგენლობაც ასეთია: მოადგილე, ნაციონალი ჩიორა თაქთაქიშვილი, მოადგილე რუსლან პოლოსიანი; წევრები უმრავლესობიდან: მერაბ კაჭახიძე, (კონსერვატორი), პაატა კიკნაველიძე, თემურაზ ნერგაძე, ზაზა პაპუაშვილი, ოთარ ჩრდილავი, ფატი ხალვაში და ანუკე ოპოზიციონერი შალვა შავგულიძე, რომელიც მაშინ კოალიციის წევრი იყო; ასევე კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური სახე ან გარდაცვლილი თამაზ ავდალიანი გახლდათ და იმდენი, მავანი — ამ სიებთან არსებულ ყველა კითხვისნიშნის მასთან არ გადაამინამართებს. ნაციონალურიდან ამ კომიტეტის წევრები იყვნენ ახლა უკვე „გირჩი“ ექსნაციონალი გიგა ხაჩიძე, ომარ მეგრელიძე, აკაკი მინაშვილი, ნუგზარ ნიკლაური და იაშა შერვაშიძე. ჩნდება კითხვა: რატომ ტრიალებს სკანდალი მხოლოდ სამი ადამიანის გარშემო, რომლიდანაც ერთ-ერთი, კობახიძე, ყველაფერ ამის შემოქმედი კომიტეტის წევრიც კი არ არის?

დასასრული მე-5 გვერდზე

— სისტემაში რამის შეცვლა მოახერხებ?
 — დიახ, ბევრის.
 — მაგალითად?
 — ინსტიტუციური განვითარება, რითიც საუბარი დაიწყო — მხედველობაში მქვეს იგივე გამჭვირვალობა და სხვადასხვა პროექტთან მიმართებაში გადასაწყვეტილი სტრუქტურა, რგოლების გააზრებული ფუნქციონირება, როცა ფუნქციების დუბლირება აღარ ხდება.
 — ისე, ითქვას, აი, მიმა გიორგაძე კულტურის მინისტრი გახდება და სამინისტროს მთელ ბიუჯეტს ჯაზს მოახმარსო...
 — მილიონ რამეს ამბობდნენ... ხშირად მესმის, სკეპტიკურად ვიყავით განწყობილნი, მაგრამ თურმე...
 — მაპატიეთ, სიტყვას განყვეტინებთ, მაგრამ ცოტა დრო გვაქვს და უნდა ჩაგვიტხოთ: თქვენი მთავარი პრობლემა საყდრისია, რომლის აფეთქებასაც ხელი მოაწვდით. ისე, ამბობენ, ოდისმარამ თავი დაიძვრინა და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ყვე-

— თქვენამდე პერიოდზე ლაპარაკი, ბატონო მიხეილ...
 — ეს არ ვიცი... აქაც დუბლირებული ფუნქციები არსებობდა: მერის თავისი საბჭო ჰყავდა, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს — თავისი და ხალხი განამბეზული იყო. ამას არც დიდი მენეჯერობა სჭირდება და მით უმეტეს, არც ხელოვნებათმცოდნეობა... ამიტომ ვთქვი, ხომ არ გავაკეთოთ „ერთი ფანჯრის პრინციპი“ — ადამიანი მივა და დოკუმენტს მიიღებს-მეთქი. რადგან თბილისზე ვლაპარაკობთ და არქიტექტურული ნებართვის გაცემა ცალსახად მერიის პრეროგატივაა, მერიის საბჭოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ექსპერტები მივავლინეთ. დღეს ყველა იმ საკითხს, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას ეხება, მერიის საბჭო განიხილავს, თუმცა ამით სამინისტროს არც პასუხისმგებლობა მოხსნია და არც ფუნქცია, რადგან ამ საბჭოში ჩვენი ექსპერტებიც არიან წარმოდგენილნი. უბრალოდ, ყველაფერ ამის ოპტიმიზაცია მოხდა...
 — ბატონო მიხეილ, მართალია, შეხვედრისთვის განკუთვნილი 30 წუთი ამოგვეწურა, მაგრამ ისე ვერ დაგვეშვიდობებთ,

— თუ ვერ აცნობიერებს, შეგიძლიათ, გარკვეული მითითებარჩვეა მისცეთ...
 — როცა სტრატეგიაზე ვლაპარაკობთ, ვამბობთ, რომ ხელი თეატრსაც უნდა შეეწყოს და შესაბამისი გარემო შეეუქმნათ, მაგრამ არ ვამბობთ, დედაქალაქის თუ რეგიონის თეატრი შინაარსობრივად როგორ უნდა განვითარდეს. სამაგიეროდ, გამართული ინფრასტრუქტურა უნდა ჰქონდეს ანუ შენობა და ტექნიკურ-მატერიალური ბაზა მაქსიმალურად გამართული იყოს; ასევე ხელფასები უნდა გაიზარდოს და, როგორც მთელ სფეროში, ასევე, თეატრშიც სოციალური დაცვის გარანტი შეიქმნას. გარდა ამისა, საჭიროა, სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივა განხორციელდეს, რათა დედაქალაქის თეატრის თეატრს მუშაობა გაუადვილდეს. მაგალითად, მუდმივად პრობლემებია შესყიდვების კანონთან. მოკლედ, ჩვენ ვამბობთ, რომ მართვა და განათლება ძალიან მნიშვნელოვანია — თეატრი კარგი მსახიობისა და რეჟისორის გარდა, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ეფექტურად უნდა მართოს. შესაბამისად, ამ სფეროში მენეჯმენტი კიდევ უფრო მაღალ დონეზე უნდა იყოს.
 ყველაფერი ეს რეგიონულ ბიბლიოთეკებსაც ეხება. ვთვლი, რომ ბიბლიოთეკების კონცეფცია ცოტა ძველმოდური და კონცეპტუალურად გადასახედა — ეს მოწყენილი გარემო უნდა შეიცვალოს და ამის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითი ვაკის პარკის მედიათეკაა, რომელიც აბსოლუტურად გენიალური მოდელია.
 სხვათა შორის, კულტურის სამინისტრო პროექტს — „ცოცხალი ნიგები“ ახორციელებს, რომელიც თავისი პოზიტიური გამოხმაურებით, ერთ-ერთი საამაოა: თანამედროვე ქართველი ავტორები რეგიონებში მიგვყავს და ხალხს ვახვედრებთ. რეგიონებში კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოცემულ ძალიან ბევრ ნიგნსაც ვაგზავნი.



ლას „ჩაუშვებს“, ვინც, ასე ვთქვათ, აფეთქებაზე ხელის მოწერას აიძულებდა... კულტურის მოღვაწეები, როგორც აღვნიშნე, მანანა ბერიკაშვილის გამოც გადავებთან. სხვა ბრალდებას, პრაქტიკულად, არც ვიყენებენ...
 — ქალბატონ მანანასთან დაკავშირებით გიპასუხებთ.
 რაც შეეხება საყდრის, ელემენტარულად, იმ ადგილად მოსალოდნელი სპეკულაციის, რომელიც, საბოლოო ჯამში, მოხდა, არ შემეშინდა!
 — ბატონო მიხეილ, შეგიძლიათ, ცალსახად თქვათ, რომ საყდრისთვის ისტორიული ძეგლის სტატუსის მოხსნა ვინმეს ბიზნესინტერესიარ იყო და თქვენზე ზენოლა არ განხორციელდა?
 — დიახ, ამას ცალსახად ვამბობ! მეტიც, როცა თავიდან პრემიერთან საუბარი მქონდა და ეს შემოთავაზება ჩემთვის, მართლაც, ძალიან მოულოდნელი იყო...
 — მინისტრობას გულისხმობთ?
 — დიახ...
 — ისევე უნდა ჩაგვიტხოთ: ამბობენ, რომ თქვენი და პრემიერის მუხლები მეგობრები არიან და კულტურის მინისტრად სწორედ ამიტომ დაინიშნეთ...
 — თბილისის ძალიან პატარა ქალაქია, არაფერი იმალება — ჩემმა და პრემიერის მეუღლემ ერთმანეთი რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთ ღონისძიებაზე გაიცნეს, რომელზე დასწრებაც მუხლებთან ერთად მისვლას გულისხმობდა.
 — ესე იგი, იმ გადანყვეტილების, რაც საყდრისზე მიიღეთ, არ შეგვიწინდათ, არა?
 — დიახ, არ შემეშინდა! მაშინაც კი, როცა პრემიერმა კულტურის მინისტრობა შემომთავაზა, ამასთან დაკავშირებით არაფერი თქმულა ანუ ეს არ იყო პირობა, რომელიც დაინიშნასთან ერთად, ასე ვთქვათ, მომყვებოდა!
 ძალიან მოკლედ ვიტყვი: სამეცნიერო თვალსაზრისით, ეს, რა თქმა უნდა, იდეალური გამოსავალი არ იყო, მაგრამ დღესაც ვთვლი, რომ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ეს ყველაზე ადეკვატური გადაწყვეტილება იყო!
 — როცა ხელისუფლება შეიცვლება და თუკი ამ საკითხით საგამოძიებო უწყებები დაინტერესდებიან, პრობლემები არ შეგვექმნებათ?
 — არ მგონია...
 — ისევე კულტურულ მემკვიდრეობაზე უნდა გკითხოთ, თუმცა მანამდე მითხარით: ბაგრატიის აღდგენილი ტაძარი მოგწონთ?
 — ბაგრატიის ტაძარს ბევრი სერიოზული ხარვეზი აქვს, რის გამოც მომავალში მისი რენომიზაცია დაგჭირდება, ოღონდ არა როგორც ცალკე აღებული ტაძრის.
 — აბა?
 — ამაზე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტთან საუბარი უკვე მქონდა და შემპირდნენ, რომ დაგვეხმარებიან, რათა ბაგრატიისთვის სხვანაირი ნომინაცია მოვიფიქროთ და იუნესკო-ს ნუსხაში ისე შევიყვანოთ, როგორც ისტორიული ზონის შემადგენელი ნაწილი.
 — თბილისში, როგორც ვიცი, ძალიან ბევრ პატარა ძეგლს ისტორიული სტატუსი მოხსნა... ამასთან, ამ მიმართულებით მერიაც მუშაობს. ბოლოს და ბოლოს, ისტორიული მემკვიდრეობა ვის ეხება?
 — სტატუსის მოხსნა და მინიჭება, ერთმნიშვნელოვნად, მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს პრეროგატივაა...
 — კი ბატონო, მაგრამ თუ არ ვცდები, ისტორიული სტატუსი 2500 ძეგლს მოეხსნა...
 — რას ბრძანებთ?! ალბათ, არასწორი ინფორმაცია მოგწოდეს, რადგან ჩემს გარეშე ეს არ მოხდებოდა...

რამდენიმე მნიშვნელოვან თემას რომ არ შევეხო: რეგიონულ თეატრებთან დაკავშირებით რა ხდება? სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება რაიონული ბიბლიოთეკების აღდგენა იყო. აღდგინეთ?
 — ბიუჯეტში ფინანსური დახმარების პროგრამა გვაქვს განერილი და რეგიონალურ თეატრებს ძალიან აქტიურად ვეხმარებით. ნელს კულტურის სამინისტრომ ხელი შეუწყო რეგიონული თეატრების ფესტივალის ჩატარებას, რომელიც ამიერიდან ტრადიციული და ყოველწლიური იქნება, რაც მეტად შეუწყობს ხელს რეგიონული თეატრების განვითარებას და რეგიონში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.
 ვინაიდან ქვეყანამ გეზი დეცენტრალიზაციაზე აიღო, რაც ჩემი აზრით, სწორია, ვფიქრობ, რეგიონული თეატრები ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში უნდა იყვნენ. სხვა საკითხია, ადგილობრივი ხელისუფლება თეატრის და, საერთოდ, კულტურის მნიშვნელობას რამდენად აცნობიერებს...

უცნოვი ღატალეზი

კახა კუკავას პოლიტპატიმრები „ჩაუღეს“

მე-3 გვერდიდან
 ნაციონალების პოზა და პოზიცია გასაგებია, მაგრამ სად არიან დანარჩენები „ოცნებიდან“, რომელთა გვარებს, მათი აქტიურობა სულ რომ არ გვახსოვდეს, ეს ოქმი ამხელს?! გამოდის, ან ისინიც ფულს იღებდნენ და დუმდნენ, ან იმდენად ნომინალურნი და არადინამიკური იყვნენ, რომ მთელმა ალტ-მიცემობამ მათ გარეშე ჩაიარა. 3 დეკემბრის დადგენილებაში 30 ნომბრის სხდომის იმ 8 საკრალურ ოქმზეცაა ჩანანერი, რომელმაც პოლიტპატიმრების ბედი გადაწყვიტა და 8 მით გავიდა ნულის წინააღმდეგ. ოქმის მიხედვით, სხდომაზე კომიტეტმა დაამტკიცა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული 184-კაციანი და დევნილ პირთა 25-კაციანი სია. სხვა უამრავი შემოსული საქმე გადაიღო, რადგან ზოგს შესაბამისი მასალები აკლდა, ზოგიერთი ხარვეზიანი იყო და ა.შ. ამიტომ სხდომაზე დადგა საკითხი, სამუშაო პროცესი ორ ეტაპად დაყოფილიყო. სამუშაო ჯგუფში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ, მათ შორის, მომხსენებლები და სიტყვით გამომსვლელები იყვნენ როგორც ცალკეული დეპუტატები, ისე იურისტები და უფლებათამცველები. დღეს ეს ადამიანები არ ჩანან, ჩვენ კი საზოგადოებას სიების შედგენაში მათ აქტიურ მონაწილეობას შევახსენებთ: მერაბ ტურაშვილი, რომელიც დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა, ლევან ჩიტაძე, უფლებათამცველი, ნინო გვერტაძე, რომელიც დღეს უზუნაესი სასამართლოს თავმჯდომარეა. მაშინ მოსაზრებების გამოთქვამდნენ და „ოცნებიდან“ საკმაოდ აქტიურობდნენ მერაბ კაჭახიძე, ოთარ ჩრდილელი, ფატი ხალვაში. ამ ოქმში ისინი გამომსვლელებადაც არიან მოხსენიებულნი, ამიტომ დავინტერესდით, სად არიან და რატომ არ საუბრობენ დღეს ამ თემაზე და საერთოდ, იღებენ თუ არა პასუხისმგებლობას არამხოლოდ კონკრეტულ სიაზე, არამედ მთელ იმ პროცესზე, რომელიც პარლამენტმა დაინიშნა? „ვერსია“ ყველა იმ დეპუტატს დაუკავშირდა, ვინც მაშინ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი იყო, თუმცა ზოგმა საერთოდ არ გვიპასუხა, ზოგმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვა და მხოლოდ ერთი დეპუტატი გამოგვეხმაურა, ისიც „კონსერვატორების“ ფრაქციიდან.

მერაბ კაჭახიძე: „მაშინაც ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ, რომ ეს სამართლიანობის აღდგენის კუთხით გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო, რადგან მართლაც ბევრი უკანონოდ დასჯილი გამოვიდა საპატიმროდან. პოლიტპატიმრის სტატუსი არ მქონია, თორემ მეც ანალოგიური ბედის ქვეშ მოვექცეოდი, რომ არა არჩევნები — დაკავებული ვიყავი და ჩემი გასამართლება წუთზე დაინგინებოდა, 1 ოქტომბრის არჩევნებში „ოცნებას“ რომ არ გაემარჯვა. არ ვიცი, ახლა ბრალდებების ავანგარდში მხოლოდ 3 ადამიანი რატომაა. ეს მეორე მხარეს უნდა ვკითხოთ, ვინც მათ გვარებს აუღერებს. დიახ, ვიღებ პასუხისმგებლობას იმ აქტზე, სადაც ჩემი ხელმოწერაცა და ხმის მიცემაც დაფიქსირებულია — ამ სიას ხმა მივეცი და მხარი დავუჭირე. ალბათ, მანანა კობახიძის, ეკა ბეგელიასა და გედი ფოგუაძის გვარები მათი სტატუსებიდან გამომდინარე ტრიალებს. ზოგიერთებს სურათის დასამძიმებლად სწორედ ეს გვარები სჭირდება. რაც შეეხება კახა კუკავას განცხადებას, მახსოვს, როცა ამ სიის კეთება დაიწყო, 2007-2008 წლები იყო. მაშინ მე და ბატონი კუკავა ერთ პარტიაში, „კონსერვატორებში“ ვიყავით და ზოგჯერ ეს სია 53, ზოგჯერ 33 და ზოგჯერ 27-კაციანი იყო, თუმცა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჩვენი პოლიტიკური თანაცხოვრების განმავლობაში, ეს რიცხვი 27-ზე ქვემოთ არასოდეს ჩამოსულა. ამიტომ არ ვიცი, ასეთ განცხადებებს რატომ აკეთებს“.
 კულტურული ინფორმაციით, „ოცნება“ ამ სკანდალის გარეშე მოსალოდნელი პოზიციაზე ჯერ არ შეთანხმებულა, შესაბამისად, არ იციან, ვინ რა უნდა თქვას, მაგრამ კოლეგიალობას სხდომა და შეთანხმება არ სჭირდება. კარგი იქნებოდა, „ოცნებას“ ნაციონალებისგან მხოლოდ ცუდი ტრადიციები არ გაეგრძელებინა და ერთი კარგი მაგალითიც აეღო — გუნდურობის პრინციპი. ამ სკანდალის გარეშე არც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, არც უმრავლესობას და არც პარლამენტს, ერთიანი, ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. არადა, არავინ იცის, ვინ შეიძლება იქცეს ახალი სახელისუფლო გუნდის მოსვლის შემთხვევაში პოლიტპატიმრად.

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

საქართველოს პარლამენტმა უკვე დაამტკიცა კანონი „მალაღმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. შესაბამისად, მთავრობა მთის გასაძლიერებლად სპეციალურ ღონისძიებების გატარებას 2016 წლის 1 იანვრიდან დაიწყებს. კანონი მთაში მუდმივად მცხოვრები ადამიანებისთვის სოციალურ შეღავათებსა და ეკონომიკური საქმიანობის ნახალისებას ითვალისწინებს. კონკრეტულად რა სახის შეღავათები დაწესდება და ვინ ისარგებლებს შეღავათებით? — „ვერსიას“ საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე თინათინა შირვალიაძე ესაუბრება.

მთის კანონით გათვალისწინებული შეღავათები 2016 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება



როგორ მოვიპოვოთ მთაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი

— კანონში განსაზღვრულია სამი ძირითადი მიმართულება — სოციალური, საგადასახადო შეღავათები და მთის განვითარების ფონდი. სოციალურ შეღავათებში შედის მთაში მცხოვრები ოჯახების დახმარება, რომლებიც კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე, ერთი წლის განმავლობაში, 100-ლარიან დახმარებას მიიღებენ, მესამე და შემდეგ შვილზე — 200-ლარიან დახმარებას. გარდა ამისა, მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე მოსახლეობისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვაუჩერის მოცულობა იზრდება, პენსიონერებისთვის კი დადგენილია 20%-იანი დანამატი (ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, მალაღმთიან დასახლებაში, პენსია 216 ლარი გახდება, — ავტ.). სოციალურ შეღავათებში შედის ზამთრის პერიოდში, მალაღმთიან დასახლებაში მცხოვრები პირების გათბობით უზრუნველყოფა, გათბობის პროგრამას კი მთავრობა შეარჩევს; მალაღმთიან დასახლებაში მდებარე სკოლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისთვის განსაზღვრულია სახელფასო დანამატი, არანაკლებ 35%-ისა. ის პედაგოგები კი, რომლებიც განათლების სამინისტროს ცალკეულ პროექტებში მონაწილეობენ — ამ პროექტის ფარგლებში, მთაში სამუშაოდ წაიყვანონ, არანაკლებ 50%-იან სახელფასო დანამატს მიიღებენ; მალაღმთიან დასახლებაში მცხოვრები ექიმებისთვის განსაზღვრულია პენსიის ორმაგი ოდენობის, ექთნებისთვის კი პენსიის ერთმაგი ოდენობის დანამატი; მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებისთვის ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებაც იგეგმება, სახელმწიფო ამ ხარჯების 50%-ს დაფარავს, ოღონდ ყოველთვიურად, არაუმეტეს, 100 კვტ.სთ-ისა.

— **ეს შეღავათები როდის ამოქმედდება?**
— ბავშვებთან დაკავშირებული შეღავათები 2016 წლის 1 იანვრიდან, პენსიონერების, მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალისთვის შეღავათები ძალაში მომავალი წლის 1 სექტემბრიდან შევა, ელექტროენერჯის ხარჯებთან დაკავშირებული შეღავათები კი 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

— **„მთის განვითარების შესახებ“ კანონი ეკონომიკური საქმიანობის ნახალისებასაც გულისხმობს. ამ კუთხით რას გეგმავთ?**
— ეს უკვე ამ კანონის მეორე მიმართულება ანუ საგადასახადო შეღავათებია. მალაღმთიან დასახლებაში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მდებარე სანარმოებისთვის, ასევე მუდმივი სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისთვის სახელმწიფო სხვადასხვა შეღავათს აწესებს: მალაღმთიან დასახლებაში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მდებარე სანარმოები, 10 წლის განმავლობაში გათავისუფლდებიან მოგებისა და ქონების გადასახადისგან; მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მენარმე ფიზიკური პირები საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებიან. ამავე გადასახადისგან თავისუფლდებიან ის ფიზიკური პირებიც, რომლებიც ხელფასის სახით იღებენ შემოსავალს, ოღონდ წლის განმავლობაში, მხოლოდ 6 000 ლარის ფარგლებში, 6 000 ლარს ზემოთ მიღებული შემოსავალი კი ჩვეულებრივად დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით. ამ კანონის მეშვეობით მიმართულება მთის განვითარების ფონდია, რომელიც 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე ჩაიდო და ამიერიდან, ყოველწლიურად ჩაიდება. მთის განვითარების ფონდი სპეციალურ პროგრამებს დააფინანსებს, რაც ხელს მალაღმთიანი რეგიონების განვითარებას შეუწყობს.

— **როგორ და რა კრიტერიუმები განისაზღვრება მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი?**
— ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებმა უკვე მოამზადეს და მთავრობამ დაამტკიცა მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებელი მოქალაქის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და შეჩერების წესი, რომლის შესაბამისად, ეს ფუნქცია დელეგირებულია მუნიციპალიტეტებზე, რომლებსაც ზედამხედველობას ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო უწევს. პირველ ეტაპზე, მუნიციპალიტეტები მალაღმთიან დასახლებაში მცხოვრები პირების შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, მაგალითად, პენსიონერებთან მიმართებაში — სოციალური სააგენტოდან თვითონ მოიძიებენ. ყველა მუნიციპალიტეტში ჩავატარებთ ტრენინგებს და მონაცემთა პირველადი ბაზის შექმნაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. გარდა ამისა, სტატუსის მინიჭება შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოქალაქეები თვითონვე წარადგენენ შუამდგომლობას მუნიციპალიტეტებში. პროცედურები ამ შემთხვევაშიც განსაზღვრულია — გამგებობებში სპეციალური კომისიები უკვე შექმნილია, მაგრამ მთავარი ისაა, სტატუსის მისაღებად მოქალაქე მთაში აუცილებელი პირობა დააკმაყოფილოს: უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ადგილზე უნდა იყოს რეგისტრირებული და მალაღმთიან დასახლებაში მისი ფაქტობრივი ცხოვრება უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში დადასტურდეს. ეს პროცედურები უკვე განვიხილეთ და იმის

გამო, რომ ძირითადი შეღავათები 2016 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება, ვფიქრობ, საკმარისი დროა, რათა ამ მხრივ პრობლემები არ შეიქმნას. ამავე წესში განვიხილეთ, როდის შეუწყდება, ან შეუჩერდება პირს მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი. თუ პირი სასწავლებლად წავა, შეიძლება, სტატუსი დროებით შეუჩერდეს, მაგრამ როგორც კი დაბრუნდება, ერთ თვეში, გამართივებული წესით, ისევ აღუდგება. მუდმივად მცხოვრების სტატუსი შეუწყდება პირს, თუ ის საქართველოს მოქალაქე აღარაა და ასე შემდეგ.

— **კანონით, მალაღმთიანი რეგიონის სტატუსი ენიჭება დასახლებულ პუნქტს, რომელიც ზღვის დონიდან 1 500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, არა?**

— „მალაღმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონით, დასახლებულ პუნქტს ამგვარი სტატუსი შემდეგი პრინციპით ენიჭება: ყველა დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1 500 მეტრის ზემოთ მდებარეობს, მალაღმთიანი დასახლების სტატუსის მქონეა, თუმცა კანონში არის კონკრეტული, ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეების ჩამონათვალი და მათაც ასეთი სტატუსი მიენიჭება. მათ შორის, რაჭას, ფშავ-ხევსურეთს, პანკისის ხეობას, მალაღმთიან აჭარას, ქვემო და ზემო სვანეთს და ასე შემდეგ. გარდა ამისა, კიდევ გვრჩება დასახლებები და ამისთვის სამი კრიტერიუმი შევიმუშავეთ: პირველი — მოსახლეობის კლების ტენდენცია ბოლო ორი ალენით, მეორე — სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით ანუ რამდენად შესაძლებელია სავარგულების დამუშავება მექანიზაციის საშუალებებით და მესამე პერიფერიულობის კოეფიციენტი, რომელსაც მათემატიკური ფორმულით ვანგარიშობთ, რაც ნიშნავს, თუ რამდენი კილომეტრით, ან როგორაა დაშორებული დასახლებული პუნქტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან, რა ტიპისა და ხარისხისაა ეს გზა და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ზღვის დონიდან 1 000-1 500 მეტრამდე მდებარე დასახლებული პუნქტები ამ სამიდან ერთ კრიტერიუმს მაინც უნდა აკმაყოფილებდნენ, ზღვის დონიდან 800-1 000 მეტრამდე მდებარე დასახლებული პუნქტები კი — ორ კრიტერიუმს მაინც. კანონი გამონაკლისის წესით მალაღმთიანი დასახლების ცენტრიდან, რა ტიპისა და ხარისხისაა, რომლებიც ზღვის დონიდან 800 მეტრის ქვემოთ მდებარეობენ. მთის საბჭომ განიხილა ზღვის დონიდან 1 500 მეტრს ზემოთ მდებარე სოფლები, ისტორიულ-გეოგრაფიული დასახლებების მქონე კუთხეები და 800-დან 1 500 მეტრამდე მდებარე სოფლები, რომლებსაც ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, სტატუსი უკვე მიანიჭა. დღევანდელი დეკლარაციები, 1 598 სოფელს უკვე მალაღმთიანი დასახლების სტატუსი აქვს, რასაც 10 წლის განმავლობაში შეინარჩუნებს, ოქმი შედგენილია და როგორც კი მთავრობა ოქმს დაამტკიცებს, სია გამოქვეყნდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი დასრულდა, მთის საბჭო მუნიციპალიტეტებიდან დამატებით შუამდგომლობებსაც მიიღებს, რათა ცალკეულ სოფლებს ამგვარი სტატუსი მიენიჭოს და ამ ჩამონათვალს სხვა სოფლებიც დაემატოს, მაგრამ ამას საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს.

— **ვიდრე პარლამენტში ამ კანონპროექტის განხილვა დაიწყებოდა, ახლად შექმნილი ოჯახებისთვისაც გარკვეული შეღავათები იგეგმებოდა და სახელმწიფო მათ დაფინანსებას 10 000 ლარით აპირებდა...**

— ასეთი რამ კანონში გათვალისწინებული არ ყოფილა! როგორც ვიცო, ეს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის იდეა იყო, თუმცა მთის განვითარების ფონდისთვის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, 6 მილიონი ლარია გათვალისწინებული. იანვარ-თებერვალში მოვამზადებთ წესს, თუ როგორ და რა მიმართულებით უნდა დაიხარჯოს თანხა ამ ფონდიდან და კონკრეტული დეტალებიც მაშინ გამოიკვეთება.

— **შეასძლება, ეს არასამთავრობო ორგანიზაციის იდეა იყო, მაგრამ სამომავლოდ თუ განიხილავთ მსგავსი ტიპის შეღავათებს, რათა ახლად შექმნილი ოჯახებს მთაში დაბრუნების სტიმული მიეცეთ?**

— 2016 წლის 1 იანვრამდე ბევრი ტექნიკური სამუშაო შე-

სასრულდება, რასაც გარკვეული დრო სჭირდება. ამის შემდეგ შევიმუშავებთ მთის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას და „მთის განვითარების კანონის გარდა“, რა კონკრეტულ ნაბიჯებსაც გადავდგამთ, ყველაფერს სწორედ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გავწერთ.

— **იმ სოფლების მცხოვრებლები, რომლებსაც მალაღმთიანი დასახლების სტატუსი უკვე მიანიჭეთ, ავტომატურად ამ შეღავათებით ისარგებლებენ თუ დამატებით პროცედურების გავლა მოუწევთ?**

— შეღავათებით ავტომატურად ვერ ისარგებლებენ. ვერ მუნიციპალიტეტებმა უნდა დაადასტურონ, რომ გასული 9 თვის განმავლობაში, ეს ადამიანები მუდმივად ცხოვრობდნენ ადგილზე, უნდა გამოსცენ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც კონკრეტულ პიროვნებას, მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებლის სტატუსი მიენიჭება. ამ ინფორმაციას მუნიციპალიტეტი უმოკლეს დროში გადაუგზავნის სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს, რომელმაც რეესტრი უკვე შექმნა, სადაც პირადი ნომრის შესაბამისად, ამ სტატუსის მქონე ადამიანების ნუსხა აისახება. შესაბამისად, ამ ბაზასთან წვდომა ყველა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს ექნება, რასაც ცალკეული პროგრამების განხორციელებისას გამოიყენებენ. სხვათა შორის, სერვისების განვითარების სააგენტოში ამ მონაცემთა ბაზისთვის ცალკე, სპეციალური პროგრამა დაინერგა და ყველა ცვლილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს — სტატუსის მინიჭება, შეჩერება თუ შეწყვეტა, ავტომატურად აისახება.

— **საქართველოს მოქალაქე, რომელიც მალაღმთიან დასახლებაში არ ცხოვრობს, მაგრამ მთაში დაბრუნებას გადანიშნავს, ამ სიკეთით ვერ ისარგებლებს?**

— ისარგებლებს, თუ უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში, ამ კონკრეტულ ადგილზე მისი ფაქტობრივი ცხოვრება დადასტურდება. ეს ნიშნავს, რომ ამ ხნის მანძილზე, ადგილზე იხდოდა კომუნალურ გადასახადებს, ამუშავებდა მიწას, ან სხვა საქმით იყო დაკავებული. როდესაც ამ ტიპის რამდენიმე ინფორმაცია თავს მოიყრის გამგებობაში, სპეციალურად შექმნილი კომისიის წევრები იმსჯელებენ, მიიღებენ გადაწყვეტილებას, შემდეგ, ამ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტს წარუდგენენ, რათა ადმინისტრაციული აქტი გამოიცეს, რომ კონკრეტულ პირს სტატუსი მიენიჭოს.

— **ბატონო თინათინა, არ ვფიქრობ, რომ კანონის ამოქმედების მეორე დღესვე, დაცარიელებულ მალაღმთიან რეგიონებში ხალხი დასტუმრდება დაბრუნდება, მაგრამ ცოტა წავიოცნებოთ მათ შედეგად, რაიონულ ცენტრში, ან ქალაქში ცხოვრობს მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც მატერიალურად ძალიან უჭირს. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ოჯახის უფროსმა მთაში ცხოვრება გადაწყვიტა, რადგან ზუსტად იცის, რომ ცოტას თუ გაიჭირვებს და ეკონომიკურ საქმიანობას წამოიწყებს, მინიმუმ, 10 წლით მოგებისა და ქონების გადასახადისგან გათავისუფლდება, თან როგორც მრავალშვილიანი ოჯახი სხვა შეღავათებითაც ისარგებლებს. მოკლედ, ასეთი რომანტიული სცენარის მიუხედავად, ეს ოჯახიც მთაში მუდმივად ცხოვრების სტატუსს 9 თვის შემდეგ მიიღებს?**

— რასაკვირველია. იქნებ, ზაფხულში დასასვენებლად ჩავიდა და მერე რაიონში დაბრუნდა? რაც მთავარია, მუნიციპალიტეტმა ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს, რომ პირს მთაში მუდმივად ცხოვრების სტატუსი მიენიჭოს. თუ ადამიანი უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში მალაღმთიან დასახლებაში არ ცხოვრობს, სხვაგვარად, მისი ფაქტობრივი ცხოვრება ამ ადგილზე როგორ უნდა დადასტურდეს? თუ პატიოსან სიტყვაზე ვენდობთ, რომ მთაში დაბრუნდება და მუდმივად იცხოვრებს ან იქნებ, ნოტარიული წესით დადასტურებული ხელშეკრულება უნდა გავუფორმოთ? ადმინისტრაციული წარმომადგენელი ასე არ გამოვა, აქ მკაფიო კრიტერიუმი საჭიროა, რომ კონკრეტული ადამიანი, ან ოჯახი, მალაღმთიან დასახლებაში 9 თვის მანძილზე ცხოვრობდა, რათა მუდმივი მცხოვრებლის სტატუსი მიიღოს!

ბერნარ კუმენარი: „ჩაფორმის მიზანი, ხარჯთაღიქმური მეთოდებით, პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე საქართველოს მოსახლეობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა“



ბათომ ჯაფარიძე

საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი „გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბერნარ კუმენარი ორი დღის წინ, საქმიანი ვიზიტით, თბილისს ეწვია და პირველი შეხვედრა სამოქალაქო სექტორისა და სამედიცინო სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ჯანდაცვის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და მიმდინარე რეფორმებს. კუმენარის აზრით, რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, საქართველო გაცილებით წინაა, რადგან ჯანდაცვის ძალიან კარგი მინისტრი და მთავრობა ჰყავს, რომლებიც სისტემის რეფორმას წარმატებითა და დაკვირვებით ახორციელებენ.

სექტორისა და სამედიცინო საზოგადოების ფართო ჩართულობა რეფორმებში“, — განაცხადა შეხვედრაზე ბერნარ კუმენარმა. ბერნარ კუმენარმა მორიგი შეხვედრა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში (NCDC) ჯანდაცვის სამინისტროს, პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და ქართული სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართა და მათთან ერთად პირველადი ჯანდაცვისა და მიმდინარე რეფორმების საკითხებზე იმსჯელა.

ბერნარ კუმენარი მიესალმება საქართველოს მთავრობის ძალისხმევას და მის აქტიურ ჩართულობას პირველადი ჯანდაცვის რგოლის განვითარებისა და გაძლიერების მიმართულებით.

„დღეს პირველადი ჯანდაცვა ჯანდაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მოგეხსენებათ, ჯანდაცვის სამინისტრო თანამშრომლობს „გლობალურ ალიანსთან“ სხვადასხვა საკითხზე და მათ შორის, ერთ-ერთი პირველადი ჯანდაცვის რეფორმა და მისი გაძლიერების სტრატეგიის შემუშავებაა. მოვისმინეთ მათ მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომელიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ჯანდაცვის სამინისტროსა და ჩვენი ექსპერტების მიერ, საბოლოოდ, პირველადი ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, რაც უკვე სათავეს დაუდებს კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებას პირველადი ჯანდაცვის სფეროში, — განმარტა კუმენარმა და აღნიშნული რეკომენდაციის მნიშვნელობაზეც ისაუბრა, — ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ეს რეკომენდაციები, რადგან ისინი დაფუძნებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი ექსპერტების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ამ რეკომენდაციების ადაპტირება საქართველოს კონტექსტზე. საბო-

ლოოდ, ჩვენ უნდა მივიღოთ ისეთი სტრატეგიის სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც მისაღები იქნება ჩვენთვის, რომელიც საბოლოო ჯამში, გაზრდის პირველადი ჯანდაცვის ხარისხს სერვისებზე ხელმისაწვდომობას. ასევე იქნება მონოდეტული გარკვეული მასტიმულირებელი მექანიზმები იმისათვის, თუ როგორ ავაძალდოთ პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი და, ზოგადად, როგორ გავზარდოთ პირველადი ჯანდაცვის ექიმების მოტივაცია“.

ვიზიტის დასასრულს, ბერნარ კუმენარი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და „გლობალური ალიანსის“ ერთობლივი საბჭოს სხდომას დაესწრო, რომელზეც საქართველოს მთავრობასა და ალიანსს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტები წარადგინეს.

„შეხვედრის მიზანი იყო, განსაზღვროს ის მიღწევები, რომლებიც პროექტის ფარგლებში გაკეთდა და დავსახოთ სამომავლო გზები, თუ რა უნდა გაკეთდეს შემდეგ შეხვედრამდე. გვაქვს სურვილი, რომ ქვეყანასა და მის მოსახლეობას დავუჭიროთ მხარი, რომ ჰქონდეთ მარტივი ხელმისაწვდომობა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე. ეს არის მინისტრისა და ჯანდაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ინიციატივა. რა თქმა უნდა, ეფექტური დასრულებისთვის ყველაფერ ამას წლები სჭირდება, თუმცა ყველაფერი ეს ხდება მინისტრის ზედამხედველობით და პროგრესი უკვე სახეზეა“, — განმარტა კუმენარმა შეხვედრის დასასრულს.

„გლობალური ალიანსის“ პრეზიდენტმა ჟან-ელი მალკინმა წარმატებული უწოდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ პროექტის ფარგლებში წინადადებულ ნაბიჯებს: „თვეების წინ დავიწყეთ ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის თანამშრომლებთან მუშაობა, რომ აღნიშნული პროექტები ერთობლივად შეგვეშეშავებინა. ეს არის იმისთვის, რომ ზოგადად ჯანდაცვის სისტემა ქვეყანაში გაუმჯობესდეს. სახეზე გვაქვს ძალიან დიდი პროგრესი. ჩვენი მიზანი იყო, ის შუალედური პროდუქტები, რომლებიც მომზადებულია აქვს სამინისტროს, განვიხილოთ და დავსახოთ გზები, რომ მომავალი წლიდან ვიმსჯელოთ ამ გეგმების განხორციელებაზე. ეს ეხება ზოგადად სრულფასოვან რეფორმას და არა რეფორმის კონკრეტულ კომპონენტს. აღნიშნული რეფორმის ზოგადი მიზანია ხარჯთაღიქმური მეთოდებით საქართველოს მოსახლეობისთვის უნივერსალური ხელმისაწვდომობა პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე“.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და „გლობალური ალიანსის“ ერთობლივი საბჭოს საბჭოს სხდომაზე განიხილეს და აქცენტი გაკეთდა პირველადი ჯანდაცვის რეფორმაზე. ამასთან, საბჭოს წევრებმა შეაჯამეს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე პროექტები, რომელთაც წარმატებული და ეფექტური უწოდეს.

პერსონალი

შს-ს სანაპირო დაცვის დეპარტამენტს ნაზო-ს სანერტული ჯგუფი ეწვია



საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა NATO-ს საზღვაო ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბის მობილური სანერტული ჯგუფი, რომელმაც შეხვედრები გამართა შს-ს სასაზღვაო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან. ნატოს საზღვაო სარდლობის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში პირველად განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში, მოზილურმა სანერტულმა ჯგუფმა ქართულ მხარეს NATO-ს საზღვაო ძალების გაერთიანებული სარდლობის მიერ წარმოდგენილი სწავლებისა და ტრენინგების პროგრამები გააცნო. სტუმრებმა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურაც დაათვალიერეს. ნორთუდის სარდლობამ სანაპირო დაცვის დეპარტამენტს თანამშრომლობისთვის, მათ შორის NATO-ს ანტიტერორისტულ ოპერაცია „აქტიურ ძალისხმევაში“ მონაწილეობისა და შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე, ასევე, სამომავლო თანამშრომლობისა და ურთიერთკავშირების გაღრმავებაზეც იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქართული მხარის უფრო ფართომასშტაბიანი ჩართულობის პერსპექტივებზე NATO-ს ოპერაცია „აქტიურ ძალისხმევაში“.

„ვერსიანიუსი“

„ჩვენ ვფიქრობთ არა მარტო იმაზე, ეპროპა რას მოგვიტანს, არამედ იმაზე, ჩვენ რას შევიტანთ ეპროპაში“

საპატრიარქოში პატრიარქი საქართველოში ევროკავშირის ხელმძღვანელს იანოშ ჰერმანს, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა.

პატრიარქი შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მიულოცა.

„ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ვიზიტი იმის მოვლენა, რაც გუშინ მოხდა. ევროკავშირმა მიიღო დადგენილება, რომ საქართველომ გადადგა დიდი ნაბიჯი ევროპისაკენ. მინდა მოგახსენოთ, რომ ეს არის დიდი მიღწევა, დიდი ზეიმი მთელი ქართველი ხალხის და მათ შორის საქართველოს ეკლესიის“, — აღნიშნა კათალიკოს-პატრიარქმა.

უნმინდესის თქმით, დიდი ხანია საქართველოს აქვს სურვილი, იყოს ევროპის სტრუქტურების მონაწილე, ამაში გვაქვს დიდი შედეგები. პატრიარქის განცხადებით, ჩვენ გვაქვს მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან, ეკლესიებთან, ვატიკანთან.

„განვერსიანება და უფრო მჭიდრო კავშირი ბევრ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ ვფიქრობთ არა მარტო იმაზე, ევროპა რას მოგვიტანს, ვფიქრობთ იმის შესახებ, ჩვენ რას შევიტანთ ევროპაში. უნდა ითქვას, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მეოთხე საუკუნეში ითარგმნა სახარება. იქმნებოდა ლითონის და სხვა სახის ნივთები, იწერებოდა წიგნები. ეს ყველაფერი უნდა იყოს შენარჩუნებული. იმედი გვაქვს, რომ ევროპა არა მარტო მოგვიტანს ბევრ სიკეთეს, არამედ დაიცავს ჩვენს კულტურას და ამის იმედით ჩვენი ხალხი ზეიმობს. მე მინდა განსაკუთრებით მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ბატონო ჰერმან, რომელსაც გაქვთ დიდი წვლილი ამ საქმეში“.

უნმინდესმა ეს დიდი მოვლენა მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და მთელ ქვეყანას.

„ინტერპრესნიუსი“

დიდის მასივში მამა და მისი 5 წლის შვილი მოკლული იპოვეს

მკვლელობა ფერაძის ქუჩაზე მოხდა. მამაკაცი და 5 წლის ბავშვი მათივე საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს შესასვლელთან ნახეს. წინასწარი ინფორმაციით, ბავშვი გაგუდულია, მამაკაცი კი თავში დარტყმის შედეგად დაიღუპა.

მეზობლების განცხადებით, მათ ხმაური გაიგეს, გარეთ გამოსულ შემთხვევაში კი მოკლული მამა-შვილი ნახეს.


მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ საქმე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 109-ე მუხლით აღიძრა, რაც პასუხისმგებლობას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობაზე აწესებს.

„ინტერპრესნიუსი“



მერაბ კოსტავას უსწობი წერილი — „მოსახლეობის მიგრაციის შესახებ“

საქართველოს ეროვნული გმირის მოსაზრება სიდუხჭირის დასაძევად



მერაბ კოსტავა
598-47-87-14

„ვერსიამ“ მერაბ კოსტავას აქამდე გამოუქვეყნებელი წერილი მოიპოვა. წერილი, რომელიც ფართო მასისთვის ამ დრომდე ხელმისაწვდომელი იყო და რომელიც საქართველოს მთიანი მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებს ეხება, ეროვნული მოძრაობის ლიდერმა ანგარსკის ციხეში პატიმრობისას დაწერა. ადრესატი დედა, ოლა დემურია-კოსტავაა. რუსეთში პატიმრობისას, ოჯახის წევრებსა და ახლობლებს კოსტავა ხშირად წერდა და თითქმის ყველა წერილში, მოსახლეობის სხვადასხვა პრობლემას განიხილავდა.

მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი ციცილო მალაფერიძე „ვერსიასთან“ საუბრისას განმარტავს: „წერილი დათარიღებულია 1983 წლის 12 დეკემბრით. გადასახლებაში ყოფნისას, მერაბ კოსტავამ მთის პრობლემების შესახებ ჯერ წერილში მოიწერა, შემდეგ კი მას პუბლიკაციის სახე მისცა. წერილი თავდაპირველად რუსულ ენაზე დაიწერა — მაშინ ასე ხდებოდა, ნანერს ცენზურა რომ გაეკლო, რუსულად უნდა ყოფილიყო დაწერილი, რადგან ქართულს ვერ შეამოწმებდნენ. წერილში საუბარია, რომ მთის მოსახლეობა, მთაში გაუსაძლისი პირობების გამო, იძულებული გახდა, ბარში ჩასულიყო. წერილის მიზანია, აჩვენოს, რა პოლიტიკას ატარებდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება. კოსტავა მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ამხვილებდა ყურადღებას. წერილში იმაზეცაა საუბარი, რა უნდა გააკეთოს ქართველმა კაცმა და რა უნდა იყოს მისთვის პრიორიტეტი, რომ ერმა სიდუხჭირისგან ამოისუნთქოს“.

და რადგან, მთის მოსახლეობა დღესაც ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას და სიდუხჭირეც, განსაკუთრებით რეგიონებში, დღემდე ვერ დაგვიძლევია, ვფიქრობთ, ეროვნული გმირის მოსაზრებები და აქამდე უცნობი წერილი, მკითხველისთვის ორმაგად საინტერესო იქნება.

მოსახლეობის მიგრაციის შესახებ

სულიერი სიჯანსაღე ერისა, მსოფლიო კულტურისა და საკუთარი თავისადმი სწორი დამოკიდებულებით რომ მიიღწევა, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და ფიზიკური ძლიერების საწინდარიცაა, იმგვარი ძლიერებისა, აგრესიორობისა და ძალმომრეობის რომ გამოიწვიოს, თორემ სად ძალმომრეობა და სად ჯანსაღი სული. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ნებისმიერი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძალუძს მას წონასწორობის დამყარება სულიერსა და ბუნებისმიერ სანყისებს, გონებრივსა და ფიზიკურ ცხოვრებას შორის. იმისთვის, რომ მაღალ სულიერ დონემდე აღზევებული ეროვნება არ დაბერდეს, არ დაძაბუნდეს და ჭაბუკურ ენერჯიას ინარჩუნებდეს, საჭირო რაოდენობა მოსახლეობისა ნიადაგ უნდა იდგეს მისი გაახალგაზრდავებისა და განახლების სათავეებთან, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებშიც არ წყვეტდეს კონტაქტს ბუნებასთან, მიწასთან და აღნიშნული ფუნქციის დაურღვევლად, პერიოდულად ანახლებდეს ინტელექტუალური ცხოვრების სფეროს. სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებას შორის წონასწორობის მკვეთრ დარღვევას მრავალი ერი და ცივილიზაცია დაუქვეითებია ან სულ დაუღუპავს. კულტურამ და ურბანიზაციამ არ უნდა დაამუხრუჭოს ათვისება და რეალიზაცია

საკუთარი ქვეყნის ძნელდასათვისებელი რაიონებისა, არ უნდა გამოიწვიოს უკვე ათვისებული დაკარგვა. საცხოვრებლად მძიმე და პირქუშ გარემოში სიცოცხლის შეტანა, უვარგისი ადგილების სავარგულად ქცევა განუზომლად აძლიერებს ნებისმიერი ერის სასიცოცხლო ძალებს.

საუბედუროდ, ამ თვალსაზრისით, გარკვეულ უკუქმედებას ჰქონდა ადგილი ჩვენში ამ საუკუნის მეორე ნახევარში. თითქმის მთლიანად დაიცალა მრავალი სოფელი საქართველოს მაღალმთიან რაიონებში. ადგილი ჰქონდა მთის მოსახლეობის მასიურ გადასახლებასა და მიგრაციას ბარში. საქართველოს იმჟამინდელი მთავრობა ამ ღონისძიებას ეკონომიკური მიზეზებით, კერძოდ, მთის მოსახლეობის არაპროდუქტიულობით ამართლებდა, რომელიც თითქოს მეტს იღებდა სახელმწიფოსგან, ვიდრე უბრუნებდა და ბარში მათ გადასახლებას სახელმწიფოს ეკონომიკისათვის და თვით მთიელებისთვისაც სასარგებლოდ მიიჩნევდა, რადგან ამაში ხედავდა გარკვეულ საყოფაცხოვრებო და სწავლა-განათლების საქმეში მათი ჩამორჩენისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას. ამჟამად თვალსაზრისით გახდა ოდესღაც დაშვებული მეცდომი და კიდევ შეუდგნენ მთის ნასოფლართა აღდგენასა და ხელახალ დასახლებას. თანდათან რწმუნდებიან, სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკა ნიადაგ უნდა ეყრდნობოდეს ღრმა სულიერ და არა წმინდა ეკონომიკურ საფუძველს, ვინაიდან მყარი და სტაბილური ეკონომიკა მხოლოდ სულიერ წიაღსვლათა გზით მიიღწევა. სულიერ საფუძველზე აღმოცენებული ერთადერთი მართებული დემოგრაფიული პოლიტიკა, ესაა სვლა არა ძნელიდან იოლისა და ხელსაყრელისაკენ, არამედ, პირიქით, ხელსაყრელიდან ძნელისაკენ, ამ ძნელის ხელსაყრელად ქცევისათვის. ესაა გარდამქმნელი, ფაუსტური პოლიტიკა, მორალის სფეროში სიქველეთა შორის უმაღლესს, ბოროტების სიქველედ გარდაქმნას რომ შეესაბამება. ოდესღაც, ზნეობის სფეროში, ბოროტებისთვის თავის არიდება და იზოლირება თუ ითვლებოდა სიკეთედ, დღეს, ფაუსტურ ხანაში, სიკეთის უმაღლესი ეტალონი აქტიური სიკეთე, ანუ თავად ბოროტების სიკეთედ გარდაქმნა როგორც ინდივიდუალურ, ასევე სოციალურ პლანში. შესაბამისად ამისა, დემოგრაფიის სფეროში და საერთოდ, გარემოსთან ურთიერთობისას, სიკეთის უმაღლეს ეტალონად ამჟამად მიიჩნევა არა კარგ მიწებზე დაფუძნება, მომთაბარეობიდან მდგრად ცხოვრებაზე გადასვლისას რომ ჰქონდა ადგილი, არამედ უვარგისი ადგილების სავარგულად ქცევა, მწირი ან პირქუშ ბუნებრივ გარემოში სიცოცხლის ჭაღლის შეტანა. ორივე შემთხვევაში ადამიანი ღვთის თანაშემოქმედი და არასრულყოფილების სრულყოფილი ხდება. შემთხვევითი როდია, რომ ყველაზე მაღალი სულიერების პერიოდი საქართველოში, ეპოქა თამარისა და რუსთაველისა, გარემოს გარდაქმნისა და უვარგისი ადგილების სავარგულად გადაქცევის გასაოცარი მაგალითებით ხასიათდება. ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ მესხეთის შიშველ დამრეცებზე მოწყობილი სავანეხე ტერასები, ქართული სოფლის მეურნეობის ეს ფანტასტიური მოვლენა. ქართველმა გლეხობამ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში დაგვანახა საქმით, რომ მარტივი ადამიანის მოქმედებისა ძნელად ასათვისებელი მიწების ათვისებისა და გარდაქმნისა და არა დეზერტირობაში, აყრასა და სხვაგან გადასახლებაში. ჩვენში თვით გერმანული ანდაზის გაჩენამდე იცოდნენ, რომ ცუდი მხოლოდ მინათმოქმედი იყო და არა მიწა.


ნაცვლად იმისა, რომ შორეული, მაგრამ ზნეობრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით რეალური მიზნები დაესახათ, დალოდებოდნენ დროს, როცა შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს მთების გზებით დაქსელება, საყოფაცხოვრებო მდგომარეობისა და განათლების სისტემის ადგილზევე გაუმჯობესება და იმ სამეურნეო დარგების აღორძინება, რომელთა განვითარების საშუალებასაც მთა იძლევა, საკითხი უფრო სწრაფად და „იოლად“ მოაგვარეს, მთის მკაცრ პირობებს ოლითგანვე შერჩეული მოსახლეობის ნაწილი აპყარეს და ამით საერთოდ უარი განუცხადეს ამ ადგილებს, დეზერტირობა ჩაიდინეს მათ მიმართ მაშინ, როდესაც რუსებმა სისხლი ჩაანთხიეს ციმბირის ათვისების საქმეში, რადგან თავიდანვე, საქმე იგი, რუსეთის ძლიერების საწინდრად მიიჩნიეს. რაც ციმბირია რუსეთისთვის, იგივეა საქართველოსათვის მისი მთიანეთი. მსგავსია მათი როგორც ზამთარ-ზაფხულის ხანგრძლივობათა თანაფარდობა, ასევე თვით მცენარეული საფარიც. ოღონდ ეგაა, რომ რუსები ოთხი საუკუნეა, რაც ახორციელებენ ციმბირის დასახლებასა და ათვისებას, საქართველოში კი უხსოვარი დროიდან გათავისებულ პოზიციების დათმობას ჰქონდა ადგილი, პოზიციების რომელიც, მტრებისთვის აუღებელ სიმაგრეს წარმოადგენდა მუდამ. სწორედ მთებისა და მკვიდრთა მისთა სიმკიცემ გარდაუწყვიტა ოდესღაც არაბებს, მონღოლებს, სპარსელებსა და თურქებს საქართველოს დამორჩილებისა და მასში სამუდამო დამკვიდრების იმედი. მხოლოდ ისტორიისა და კულტურის სუსტმა ცოდნამ და სახელმწიფო საქმეებში ჩაუხედაობამ, არცოდნამ იმისა, თუ სად ფეთქავს მთავარი ძარღვი ქართველი ხალხის ძლიერებისა, მისი სიჭაბუკისა და უკვდავების არტერია, განაზრახა იმჟამინდელი ხელმძღვანელობა, ბარში ჩამოესახლებინა ნაწილი მთის მოსახლეობისა. დაუშვავთ მთებმა დაჰკარგეს ამჟამად ის სტრატეგიული დანიშნულება, უნინ რომ გააჩნდათ, მაგრამ დაჰკარგავენ ისინი ოდესმე ნიადაგ გამაახლებელ და გამაახალგაზრდავებულ ძალას, ესოდენ მნიშვნელოვანს ქართველი ერი-სათვის? მხოლოდ მთასთან ნიადაგ მორკინალი, მთასთან შეგუებული მოსახლეობაა საწინდარი ქართველი ხალხის არდაბერებისა, მისი ენერჯის უშრეტობისა. საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივას ბარზე ნაკლებად მთები როდი განსაზღვრავენ. მხოლოდ ბოლომდე ათვისებული საქართველოს მთიანეთი იძლევა ნაღვ გარანტიას მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის დარგთა სრულყოფილებისათვის ჩვენში. ეს გახლავთ ძნელად მისაღწევი, მაგრამ ამ რეგიონში ერთადერთი გზა ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისა. ეს გზა მართებულია, მორალურად გამართლებული, რადგან გარდაქმნას, წინააღმდეგობათა დაძლევის ეფუძნება და ადამიანთა ნებელობის წვრთნას განაპირობებს.

მინც საკითხავია: რატომ არ დგას ჩვენში მეცხოველეობა, მეჩაივნებისა და მევენახეობის დონეზე? იმიტომ ხომ არა, რომ მას, ამ კულტურების მსგავსად, საკავშირო მნიშვნელობა არ გააჩნია და გეგმების ჩავარდნისას არ ტყდება განგაში, ვინაიდან პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო რესპუბლიკური მასშტაბებით იფარგლება და არ იშვის საშობრობა ზემოდან თითის დაქნევისა? სხვებზე უკეთ ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, რა გვჭირდება? განა არ გვაუწყებს ჩვენი დიდი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილი თავის კაპიტალური შრომის „ქართველი



მერაბ კოსტავას უსწობი წერილი — „მოსახლეობის მიგრაციის შესახებ“

ერის ისტორიის პირველ ტომში, რომ უსწობარი დროიდან კავკასიონის ქედი წარმოადგენდა ერთობ განვითარებული მეფუტკრეობისა და მეცხოველეობის კერას, შავი ზღვის მთელს აუზს რომ ამარაგებდა თაფლითა და რძის პროდუქტებით? ბავშვიც კი მიხვდება, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობის ეს დარგები აქ ყველაზე პერსპექტიული. მაშ რაშია საქმე? განა იგივე მთები არ აღმართულან, იგივე ხალხი არ ცხოვრობს დღესაც? რამ დააყენა მთის მოსახლეობის მწარმოებელი ძალები და პროდუქტულობა ეჭვის ქვეშ? მოხდა რაღაც, რამაც დაარღვია გარკვეული ჰარმონია და რომლის გასწორების ნაცვლად, დაუშვეს უფრო დიდი შეცდომა და კეთილი საბაბით გააკეთეს ის, რაც ურიცხვმა მტრმა ვერ მოახერხა საუკუნეების მანძილზე. მამა-პაპათა სამკვიდრებელიდან აპყარეს მნიშვნელოვანი ნაწილი მთის მოსახლეობისა, ქართული მთების მშვენება. ზოგიერთი კულტურის გამო, საკავშირო მოთხოვნების ავთავალისწინებით რომ მოჰყავთ ჩვენში, საქართველო უარს ამბობს საკუთარი პური თავის დაკმაყოფილებაზე და მისი შემოზიდვა სხვა რესპუბლიკებიდან გვიხდება; მაგრამ ამ შემთხვევაში ერთის დანაკლისს, ან არქონებას, მეორის ნამატი აანაზღაურებს. რაც შეეხება მესაქონლეობასა და რძის პროდუქტების წარმოებას, არ არსებობს მიზეზი, რომ გაამართლოს, ან აანაზღაუროს ამ დარგების ჩამორჩენა ჩვენში, მით უმეტეს, რომ ბუნებრივი პირობებითა და ტრადიციის სიძველით არ ჩამოუვარდებათ ამ სფეროში ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს. არა, ჭამა-სმის ხვაშიადი როდი მალაპარაკებს, თუმცა აქაც, რატომღაც მახსენდება ის, ვისზედაც უთქვამთ: „აჰა, კაცი მჭამელი და მსმელი“, კაცი, რომელსაც ინახად ჯდომაც უყვარდა და ხანგრძლივი მარხვაც ძლევდა. მისგან კი ანაზღაურ იმასაც გადასწვდება ფიქრი, წარღვრის უამს ადამიანებთან ერთად ცხოველთა სახეობანიც რომ გადაარჩინა, თვალისმომჭრელი მყინვარების ფონზე წარმომადგება ჭრელი ჯოგებითა და თეთრი ფარებით გადაპენტილი ალპიური საძოვრები და ვხედავ თუ როგორ მოდენის შებინდებისას სოფლის მადონა ნახირს, ვხედავ ცხვარში გარეულ მწყემსებსა და ბომბორა ნაგაზებს, მჯერა, ამ ველზე უკეთ თვით მეფე სოლომონიც კი არ იმოსებოდა და ვფიქრობ: ამგვარი პასტორალური იდილიები წარსულს არასოდეს ჩაბარდება.



სწორედ ჩვენი ტექნიკის საუკუნეს უნდა მიეცოს მალამოდ ამგვარი გამანოწმებელი ძალა. საქართველოს ბუნებრივი პირობების არ გამოყენება, მართლაც რომ ცოდვია. საქმისთვის თავის დადგმა საჭირო, თორემ განა ჩვენში არ არსებობს პირობები იმისა, რომ გამოიყოს მოზრდილი ტერიტორია მსოფლიოს შინაურ ცხოველთა ყველაზე აბორიგენული, თუ გამოყვანილი, მაღალი ლირსების მქონე ჯიშის შესანარჩუნებლად, თუ მოსაშენებლად და საერთოდ, ზემოაღნიშნული დარგების მაღალ მეცნიერულ დონეზე დასაყენებლად? მიიღო ბუნებისაგან ის, რასაც იგი გთავაზობს იმგვარად, რომ არაფერი აკლდება და თანაშემოქმედების გარდა არაფერს მოითხოვს შენგან, ეს ნიშნავს, შენგვერდ მასთან ნორმალური ურთიერთობა, გამოეთიშო მსოფლიო ჰარმონიას.

ასე რომ, არა ოდითგანვე დაწესებული საქმიანობის შეცვლას, არამედ ამ საქმიანობის შემოქმედებითად წარმართვაში მიხმარებას ძალუძს საქართველოს მთიანეთის ეკონომიური პერსპექტივის განამრავლება. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, მთის ნასოფლართა სრული აღდგენა-განახლება და ამ საქმის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის საშუაო კაპიტალდაბანდება უნდა დაედოს საფუძვლად და ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას ქართული მთის მოსახლეობის ეთნიკურ-ისტორიული და ეკონომიურ-სამეურნეო თავისებურებები. მთიანი საქართველოს ცხოვრებაში შეიმჩნეოდა და დღესაც შეიმჩნევა გარკვეული მრავალფეროვნება, მრავალ საერთოსთან ერთად მთის ცხოველთა კუთხებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების განსხვავებული წესი. პირადად მე, ყველაზე მეტად ცხოვრების თემური წესი მომწონდა. ცნობილია, რომ ბახტრიონის ალებისა და მოძალადე სპარსელების გაჟღეტი-

სათვის მეფემ საზამთრო საძოვრებით დააჯილდოვა თუშები კახეთის ველისა და კავკასიონის მთების შესაყართან. მან ასე მიმართა ბახტრიონის გმირს ზეზვა გაფრინდაულს: „დაჰკა მათრახი ცხენს და სადამდეც ირბენს, იქამდე მოგიზომავთო მინას თუშებს“. ასე ჩაეყარა საფუძველი ალვანს. აქედან მოყოლებული თუშები ზამთარს ბარში ატარებდნენ, ხოლო ზაფხულში საქონლიანად საზაფხულო სადგომებს მიაშურებდნენ ხოლმე მთებში. ამგვარად შეანყვილეს მათ მთისა და ბარის ცხოვრების წესი, მესაქონლეობა და მინათმოქმედება, რითაც კი არ დააკნინეს, არამედ განადიდეს კიდევ საკუთარი სულთნის და ფიზიკური ძალები. თუშურმა პოეზიამ არაფერში დაუთმო ხევსურულს; თუშები იყვნენ და დღემდე დარჩნენ მთიანი საქართველოს საუკეთესო მხედრებად. მხოლოდ ისინი არ იყვნებდნენ საქართველოში უზანგებსა და უნაგირს, მაგრამ ვერაფერი გადმოაგდებთ მათ ცხენიდან, ან რომელი კოვბოი შეედრება დალოცვილებს მოხდენილად ცხენზე ჯდომამში. აბჯარ-მუზარადი აროდეს გამოუყენებიათ თუშებს რძობლაში, მაგრამ ხევსურებზე ნაკლებად როდი იქნებდნენ ხმაღს. თემური ციკლოპური კომპები არაფრით ჩამოუვარდებიან ხევსურულ სოფელ-სიმაგრეებს, ხოლო სამეურნეო გამოცდილებით თუშებმა კიდევ გაუსწრეს მათ.

ხევსურებსაც შეეძლოთ თავის დროზე მთისა და ბარის ცხოვრების წესთა შეწყვილება. ხევსურ ვაჟკაცებს ნაკლები დამსახურება როდი მიუძღვით სამშობლოს წინაშე და საქართველოს მეფენი არც მათთვის დაიშურებდნენ საზამთრო საძოვრებს ბარში. მაგრამ, ალბათ თავად ხევსურებს არ გასჩენიათ ამგვარი სურვილი. ხევსურეთის დიდი ნაწილი ხომ დათვიჯვრის გადასასვლელის მიღმა იმყოფება, ხოლო მათათუთებიდან მას ანუთის მალადი გადასასვლელი ჰყოფს. ხევსურები ყველაზე შორს იყვნენ შეზღუდული მთებში, ბუნებრივი და სხვა დაბრკოლებებით ბარისაგან ყველაზე მეტად იზოლირებული. მათ მუდამ მტრობდნენ არაგვის ერისთავები, ბარისაკენ მისასვლელ გზაზე რომ ელობებოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ დამორჩილებას მათსას და ერისთავობას ხევსურეთში. ამიტომაცაა გასაგები მკვეთრად ხაზგასმული მთის წესი ხევსურთა ცხოვრებისა და ვფიქრობ, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი ახალმა დრომ და ზემოხსენებულმა შეცდომებმა ყველაზე მეტად ხევსურები რომ გამოაგდო ბარად. ეს მიგრაცია ეგ ზომ მასშტაბური არ იქნებოდა თუშების დარად ხევსურებსაც ძველთაგანვე რომ შეეჯერებინათ მთისა და ბარის ცხოვრების წესი. და ან სულაც, იმ გადმოსახლების ნაცვლად, მრავალი მათგანის სურვილის წინააღმდეგ რომ განახორციელეს, უმჯობესი არ იქნებოდა თუშეთის ისტორიული მაგალითის გათვალისწინებით, მთიდან მოუწყვეტლად შეეჩვიათ ხევსურები ბარის ცხოვრებისათვის? ასე თუ ისე, მასთან დაკავშირებით უმთავრესი პრობლემა დღეს მთის ყოფილი მოსახლეობის უკუმიქცევა და ნასოფლართა აღდგენაა. ხოლო მესაქონლეობისა და სხვა პრობლემების განხორციელებაზე იქნება დამოკიდებული, სულერთია, გამოიყენებენ თუ არა კავკასიონის როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ მთიანეთის საქართველოს განვითარებული მესაქონლეობის ქვეყნად გადაქცევისათვის, თუშური ცხოვრების წესს დანერგავენ ამისათვის, თუ სვანურსა და ხევსურულს, დაქსელავენ თუ არა საქართველოს მთებს გზებით ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებს შორის და საერთოდ, მთასა და ბარს შორის უფრო მიზანდასახული და სწრაფი მოქმედებისათვის, გამოიყენებენ თუ არა ამისათვის ავტომობილების საჭირო რაოდენობას, მოახდენენ თუ არა სტუდენტებისა და სამხედროების მასიურ საზაფხულო მობილიზებას, გზების, ფერმების, საცხოვრებლების, რძის ქარხნების და ა.შ. მშენებლობისათვის როგორც საზაფხულო, ასევე ზამთრის საძოვრებზე, რათა რძის ნებისმიერი ნაწარმის წარმოება ადვილზევე ხორციელდებოდეს და სარეალიზაციოდ იქედანვე იგზავნებოდეს. ადგილობრივ ტრადიციებს და საბჭოურ ტექნოლოგიას დაეყრდნობიან მხოლოდ, თუ იმგვარი განვითარებული მეცხოველეობის მქონე ქვეყნების გამოცდილებითაც აღიჭურვებიან, როგორცაა შვეიცარია, არგენტინა, ინდოეთი, პაკისტანი და ა.შ. საკუთარი საქონლის გამრავლებას დაელოდებიან, თუ საკითხის მეცნიერულ დონეზე შესწავლის შემდეგ, საქმის დასაქარებლად ერთბაშად მრავალ სულ მსხვილ და წვრილფეხა საქონელს შეისყიდნან ზემოხსენებული ქვეყნებიდან (უმთავრესად მთის ჯიშებს), მოსახლეობის დასაინტერესებლად შემოიღებენ თუ არა ორმაგი ანაზღაურების წესს, როგორც ეს სსრკ-ს ჩრდილოეთ რაიონებშია მიღებული (ჰაივის სიმკაცრით არ ჩამოუვარდება ჩრდილოეთს), ყოველივე ზემოაღნიშნული დამოკიდებული იქნება პირველადი პრობლემის წარმატებაზე, საქართველოს მთების მასიურ დასახლებაზე. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ფიქრობდნენ: პირველყოფილი უმანკობის შენარჩუნებისათვის საჭირო არ არისო მთებში გზის გაყვანა და ცივილიზაციის შეტანა; თავის განთქმულ პატიოსნებასა და პირდაპირობას დაპყარავენო მთიელები ბართან დაახლოვებიან. არა, დღევანდელი დღისთვის ადამიანის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ღირსებებია მთავარი და არა იზოლირების მეოხებით შენარჩუნებული ტრადიციული პატიოსნება. და ან ვიღას ცხელა დღეს ამგვარი საკითხებისათვის, როცა, სწორედ ამ ცივილიზაციის დაგვიანებაში ლამისაა ერთთავად გამოგვტაცა ხელიდან მთა. ან სულაც, მისცემს განა მთის დიდი ბუნება ცივილიზაციას იმის უფლებას, რასაც იგი ბარში ჩადის, განა იმთავითვე თავის ჩარჩოებში არ მოამწყვდევს მას? არა, დღეს სწორედ საქართველოს მთელმა მოსახლეობამ, განსაკუთრებით კი ბარად



ჩამოსულ-ჩამოქვეითებულმა ყოფილმა მთიელებმა უნდა გააცნობიერონ მთელის სიგრძე-სიგანით ამ საქმის აუცილებლობა. მხოლოდ მთაში დაბრუნებით დაამტკიცებენ ისინი, რომ ნამდვილი თუშები და ხევსურები არიან. დემოგრაფიული და ეკონომიური დარღვევების გასწორება ეროვნული თვითშეგნების დონეზე უნდა ხორციელდებოდეს, რადგან ყველაზე საჭირობოროტო საკითხებს ღვთის ხმასთან შეწყვილებული ერის ხმა წყვეტს ნიადაგ. დემოგრაფიული და ეკონომიური სისწორე კი წარმოუდგენელია სულიერი ნიაღვრების გარეშე. სულიერება? სულიერებას კი იმდენს დაეკარგათ ჩვენ მთების უგულვებლყოფით, რომ ველარაფერი შეაკავებს მისგან დაწყებულ დევრადაციას.


ამჟამად რომ არ დაწყებულიყო მიტოვებული მთის სოფლების ხელახალი დასახლება და ამ საქმისაკენ მინაგანი ნევა, აი რა შეიძლება გვეფიქრა საკუთარ თავზე:

1. მომკვდარა ჩვენში იმ საოცარი ისტორიის, გმირული წარსულისა და უზადო რაინდული თვისებების, მშვენიერებისა და განუწმეორებელი კოლორიტის შეგრძნება, მთის მოსახლეობას რომ გააჩნია;
2. დაგვიკარგავს ძარღვიანი, რვალისებრ მტკიცედ ნაჭედი ქართულის შეგრძნება, ვინაიდან ვერ შეგვიგნია, რომ მთის სოფლების დაცარიელებით დაიწვიტება სიტყვიერებისა და პოეზიის ის მძლავრი ნაკადი, რითაც მთის მოსახლეობა პერმანენტულად ამდიდრებდა ქართულ ენასა და ლიტერატურას;
3. მაგრამ ეს ვაჟკაცური პოეზია მთისა, ხომ წარმოუდგენელია იმ თავისუფლებისმოყვარეობის, იმ დაუმორჩილებელი სულის გარეშე, მთის შემქმნელ ხალხს რომ გააჩნია და რის გამოც ვერც შინაურებმა დაადგეს ოდესღაც თავს ბატონყმობის უღელი და ვერც გარეშე მტრებმა დაიმორჩილეს იგი? ჭეშმარიტი ლიტერატურა ხომ არ არსებობს თავისუფლების, გულისნადებისა და ნააზრების უშიშრად და თამაშით გაცხადების გარეშე, რადგან არა ხმაჩაკმედილი ყმებისა და ლარების, ოდითგანვე ვაჟკაცების საქმე ყოფილა იგი;
4. მაგრამ ეს თავისუფლებისმოყვარეობა და ქედუხრელობა ხომ პირმშობა იმ ამაღლებულისა, მთას რომ ახასიათებს? მათ თავისუფლებისმოყვარეობასთან ერთად დაგვიკარგავს ყოველივე ამაღლებულის შეგრძნებაც, რადგან მთებშია კონცენტრირებული უჩვეულო სიზვიადე, სინმინდე, სილაღე, მოწუმენტალური მშვენიერების, აღფრთოვანების, განცვიფრების, სიმაღლისა და უსაზღვროების განცდის შესაძლებლობანი. თუ ბუნება ზღვასთან გენიალური ფერმწერია, არანაკლებ გენიალური მოქანდაკეა იგი მთებში. უფრო მეტია: არსად ისე არ იგრძნობა ექსპრესიულობა დედამიწისა, მისი მისწრაფება ალზევდეს საკუთარ ბუნებაზე, ამაღლდეს საკუთარ თავზე, განყვიტოს ზღვართა ბორკილები და მისწვდეს ვარსკვლავებს, როგორც მთებში. ოდესღაც ცისკენ ატყორცნილი გრანდიოზული ცეცხლოვანი მასები ცეცხლადვე მოგიზგიზე დედამიწისა გასაოცარ ჟესტებად გაიყინენ. ყალფზე შემდგარნი და გასაფრენად გამზადებულნი, თუმცა ვერ მოსწყდნენ მინას, მაგრამ სამუდამოდ აღიბეჭდეს თავზე ალზევების დაუოკებელი წყურვილი.

არა, ქართველ კაცს არასოდეს მოზებრდება სიმაღლებთან ჭიდილი, არ გაუნელდება უკიდევანობის გრძნობა.

ვერა და ვერ დათმობს ქალაქი ვარსკვლავებთან სიახლოვეს. საკუთარი თავისადმი არ გაუცხოვდება იგი და ზურგს არ შეაქცევს გულისწმარბტვევნილ მშვენიერებას მთებისას, საკუთარ მე-ს, საკუთარი არსების ამ მართლაც განუყოფელ ნაწილს.

მერაბ კოსტავა
(1983 წ. 12 დეკემბერი, ქ. ანგარსკი)





ნონა ცაბაძე

იმის თაობაზე, როგორ მოხვდა ლევან ფხაკაძე პოლიტდევენილთა სიაში, განმარტებებს ადვოკატი ნათია კორკობაძე აკეთებს. ამასთან, ადვოკატის ინფორმაციით, ამ საქმეში გივი თარგამაძე და თბილისის ყოფილი მერის, გივი უგულავას მეუღლეც ფიგურირებენ.

ქალბატონო ნათია, ის, რაც დღეს პოლიტპატიმართა სიებთან დაკავშირებით ხდება, მიზანმიმართული პროცესია თუ სიების შედგენისას ადგილი დარღვევებს მართლაც ჰქონდა?

ეს ნამდვილად მიზანმიმართული პროცესია. ცდილობენ, ჩირქი მოსცხონ ამ მნიშვნელოვან საქმეს. რაც შეეხება ლევან ფხაკაძისთვის პოლიტდევენილის სტატუსის მინიჭებას, ეს სუფთა პოლიტპატიმრის სტატუსის დებულებაში ჩატყული საქმეა. კარგადაა ცნობილი, რაც მოხდა 2007 წელს ლევან ფხაკაძესთან დაკავშირებით. ეს უნდა იყოს, რომელიც გივი თარგამაძის უახლოესი მეგობარი და მისი გარემოცვის წევრია. სწორედ აქედან ჩაერთო ამ პროცესში ნაციონალები.

როგორ დაიწყო მათ შორის კონფლიქტი?

ფხაკაძეების ოჯახს ჰქონდა იმ დროისთვის სამშენებლო ბიზნესი, აქედან გამომდინარე, როდესაც წამოვიდა პირველი საპროტესტო ტალღა ნაციონალების საწინააღმდეგოდ, ისინი აფინანსებდნენ ოპოზიციურად განწყობილ პარტიას. რის გამოც, ლევანის მამას, აკადემიკოს ნ. ფხაკაძეს შეუქმნეს პრობლემა. პრობლემის მოსაგვარებლად გამოიწვია ლევა კილაძე, გივი უგულავას ახლანდელი მეუღლე, მაშინ კი მიხეილ სააკაშვილის პირადი ვიზაჟისტი. 100 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, პრობლემას ააცილებდნენ ლევანის მამას. მათივე დახმარებით ჩაადგინეს წყნეთის სახლი ბანკში და წაიღეს თანხა, ასევე, „მერსედის“ ჯიპიც წაიყვანეს, მაგრამ საქმე არ დაამთავრეს და საბოლოოდ, საქმის დამთავრებისათვის შესთავაზეს ლევანს მათ გუნდში თანამშრომლობა. საქმე ეხებოდა წარმთეული ბიზნესების გადაფორმებას. ლევანი საერთოდ ჩამოშორდა ამ ხალხს, დატოვა სამსახური თავდაცვის სამინისტროში, მაგრამ სულ მალე ლევანი გახდა სხვა გათამაშებული სცენარის მსხვერპლი.

მიხეილ ზირაქაძე, როგორც უკვე მოგახსენეთ, გივი თარგამაძის ნათესავია და ნლობით მუშაობდა იურისტად თარგამაძის ძმის კომპანიაში. მისი და კი თამარ ზირაქაძე, შემდგომში კარბელაშვილის შტაბის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი, ასევე, ემსახურებოდა ნაციონალებს და ასრულებდა მათ დაკვეთებს. თამუნა ზირაქაძე შემოუგდეს ლევან ფხაკაძეს დავალებით. იგი კაფეში გამოეცნაურა ლევან ფხაკაძეს, რომელიც იმ დროისთვის მეუღლე და 3 წლის შვილი ჰყავდა. დაახლოვების შემდეგ, თამუნამ შესთავაზა ლევანს, რადგანაც გივი თარგამაძის ნათესავი იყო, იცოდა ლევანის ოჯახის პრობლემები დეტალურად, დაეხმარებოდა მამის საქმეში. ლევანი დაეჭვდა, თუ საიდან ფლობდა თამუნა ამ ინფორმაციას... თამუნამ მიიღო ცივი უარი. რამდენიმე დღეში თამუნა ზირაქაძე უნიშნავს ლევან ფხაკაძეს შეხვედრას ქავთარაძის ქუჩაზე და ახვედრებს შავ მანქანაში მჯდომ 2 მამაკაცს. მათი შეთავაზება იყო მამის საქმის სანაცვლოდ ლევანის თანამშრომლობა მათთან, თანამშრომლობა მოიცავდა იგივე შინაარსს. ამის სანაცვლოდ, ოჯახის სიმშვიდეს. ლევანის გაღიზიანებულ უარზე, თამუნა ზირაქაძემ მიიძახა, დაფიქრდი, 1 კვირას გაძღვეთ, თორემ ხომ იცი, „ცოცხალი ხორცის მჭამელი“ ერეკლე კოდუა მყავსო...

ზუსტად მიცემული დროის ამონაწერისას, ლევან ფხაკაძეს წყნეთის სახლში აუჩუხეს ახალგაზრდა მეუღლე 3 წლის ბავშვის თვალწინ. მაგ დროისთვის წყნეთის კარის მეზობელი იყო ირაკლი ოქრუაშვილი, მაშინ ახალი ნასული ოპოზიციის. სწორედ მისმა დაცვამ გადაარჩინა ლევანის მეუღლე. საავადმყოფოში ყოფნისას ლევანის ტელეფონზე არ წყდებოდა თამარის მუქარა, რომ შვილსაც წინილასავით დააკლავდნენ (თამარის SMS-ები საქმეშია).

საავადმყოფოდან ახალგადაწყვეტილი მეუღლე ლევანმა ქავთარაძის ქუჩაზე დატოვა მეგობრის ოჯახში, თვითონ

ნათია კორკობაძე: „ლევან ფხაკაძე უდანაშაულოა და პერაპინ შეგვიჩერებს“ სკანდალური საქმე, რომელშიც გივი თარგამაძე და გივი უგულავას მეუღლე ფიგურირებენ

კი მეგობართან ერთად, ნამცხვრის საყიდლად რამდენიმე წუთით გავიდა ვაჭა-ფშაველას ძეგლთან, სუპერმარკეტში. მალაზიასთან გადმოუხტა ლევანს შავი მანქანიდან 2 ბიჭი და სასტიკად ცემა. მიუხედავად ამისა, ლევანს ჩხუბის დროს იარაღი არ უხმარია. მანქანის შუშა ჩამოწია თამარ ზირაქაძემ. ფაქტიურად ლევანის დასჯა გრძელდებოდა... ლევანი ჩახტა მანქანაში, გაუარა მეუღლეს, სახლში რომ დაეტოვებინა, თვითონ კი ოჯახის ექიმთან წასულიყო, რადგან სასტიკად ნაცემი იყო. ამ დროს გადაუდგა ორი მამაკაცი და დაუწყო მანქანიდან გადმოთრევა. თავდამსხმელები იყვნენ მიხეილ ზირაქაძე და მამამისი. ლევანის მეუღლემ გაალო მანქანის კარი და სთხოვა, მეუღლე ვარ, დაანებეთ თავი, რაზეც მიხეილ ზირაქაძემ ამოიღო იარაღი და სიტყვებით — „წადი შენი“ — ესროლა. ლევანის მეუღლე დაეცა. ლევანმა იფიქრა, ცოლი მომიკლესო და თავდამსხმელს ფეხებში ესროლა, რათა ცოლთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. მიხეილ ზირაქაძეს ზოგი ახსლეს ტყვია, ზოგი გასროლილი მოხვდა ნელსკვეთით. აქვე აღვნიშნავ, რომ ლევან ფხაკაძე თავდაცვის სამინისტროს საბუთებში სწავლავდა მოხსენებულს. ნუთუ სწავლიდი მოსაკლავად გამეტებულ კაცს ააცილებდა და ფეხებში მოარტყამდა?

შემდეგ რა მოხდა?

ტყვია აცდა ლევანის მეუღლეს, მაგრამ მოხვდა ლევანის მანქანას, რისი ექსპერტის საბუთიც იდო საქმეში. ნაციონალებმა მიხეილ ზირაქაძის თავდასხმა კარგად ჩაფარცხეს და გამოიყვანეს მსხვერპლად.

აქ იყო სუფთა პოლიტიკური მოტივი. ლევანს დაუჭირეს მამა, აკადემიკოსი კაცი. ლევანის და, ეკა ფხაკაძე გაიქცა საქართველოდან, ის გერმანიის მოქალაქე გახდა და სახელი და გვარიც კი შეიცვალა, ისე სდევნიდნენ. მათ მთელი ოჯახი გაანადგურეს.

სხვათა შორის, 2009 წლიდან ჰელსინკის კომისიის წევრი ვიყავი.

კახა კუკავას კომისიად რომ არის ცნობილი?

დიხა, კუკავა ხელმძღვანელობდა; ის იყო ამ კავშირის თავმჯდომარე. ამ კომისიაში ვიყავით: მე, ეკა ბესელია, ნანა კაკაბაძე, გელა ნიკოლაიშვილი, ირმა ჭკადუა, ლალი აფციაური, ქეთი ბექაური და კიდევ ბევრი ცნობადი ადვოკატი. იმ პერიოდში ვინც თვლიდა, რომ იყო რეჟიმის მსხვერპლი, მათი საქმეები შემოდიოდა ჩვენთან განსახილველად და ყველას ვთხოვდით, რომ მოეტანათ სისხლის სამართლის საქმეები, ამ საქმეებს მოყვებოდნენ ადვოკატებიც, ხდებოდა საქმეების განხილვა და იმ დებულების თანახმად, რომელიც მართლაც, შეესაბამებოდა პოლიტპატიმრის სტატუსს, ვანიჭებდით. ნახევარზე მეტი პოლიტპატიმრის ადვოკატი მე ვიყავი...

ლევან ფხაკაძის საქმე კომისიაში ვინ მოიტანა?

ლევანის საქმე ჩვენთან მისმა დამ მოიტანა, მაშინ ამ ქალბატონს საერთოდ არ ვიცნობდი. განვიხილეთ ეს საქმე.

ამ კომისიის შემადგენლობაში მაშინ ეკა ბესელია საერთოდ არ იყო! არც მანანა კობახიძე ყოფილა. ეს საქმე იმიტომ განვიხილეთ, რომ სუფთა პოლიტიკური მოტივით დევნილი პიროვნება იყო.

რატომ ამოტივტივდა ახლა ლევან ფხაკაძის საქმე? ითქვა, რომ ამ საქმეს იმ მეტრეველის გვარი უკავშირდება...

უნდა დავუკავშირდებოდი ელისო კილაძეს და სრული ინფორმაცია მივანოღო ლევან ფხაკაძის საქმესთან დაკავშირებით, როგორც მისი ინტერესების დამცველმა. ან იმ მეტრეველი რა შუაშია, რა კავშირი აქვს ფხაკაძის საქმესთან? ეს უნესიერესი ქალბატონია და მისი ერთადერთი ვაჟი სწორედ იმ რეჟიმმა შეინარა. ამჟამად მიმდინარეობს მისი შვილის საქმეზე სასამართლო პროცესი და მისი მოწინააღმდეგე მხარეა დონაძე, ფირცხალავა და მისნაირები. ყველაფერ ამას კი მფარველობს „სამართალდამცავთა ლიგა“ და ჩვენმა ხელისუფლებამ ისიც კი ვერ მოახერხა, გამოიძიოს, ლიგას ვინ აფინანსებს. სწორედ მას დასჭირდა იმ მეტრეველის სახელის გასვრა, რადგან ჰგონია, რომ ამით რამე შეიცვლება.

ია მეტრეველი ფხაკაძის საქმესთან რა კავშირშია?

ია მეტრეველი რა კავშირშია პოლიტპატიმართა სიებთან, ის იყო კომისიის წევრი. ასევე, ია იყო იმ ფონდის ხელმძღვანელი, რომელიც იმ დროს ყველა პოლიტპატიმრის ოჯახს ეხმარებოდა. ია მეტრეველის დედა, თავის კუთვნილ პენსიას სწორედ ასეთი ოჯახების სახელზე რიცხავდა. ია მეტრეველიც აქედან იცნობდა პოლიტპატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს. რა, ეს სიები ვინმესთვის დამალული იყო? ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ იცოდა ამის შესახებ, ჩვენ მუდმივად ვაკეთებდით ამ სიების პრეზენტაციას და 2012 წლის არჩევნების შემდეგ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. ეს ჩვენი გამზადებული სიები იყო — პარლამენტში ჩვენგან წავიდა. აუცილებლად უნდა შემდგარიყო ხარვეზების დამდგენი კომისია, მომხდარიყო ამ პოლიტპატიმრების საქმეების გადასინჯვა და შემდეგ გამოჩნდებოდა მტყუან-მართალი და არ იქნებოდა ამაზე ამდენი ლაპარაკი. აღარ იქცეოდა პოლიტპატიმრის სტატუსი ყბადღებულ თემად.

ამტივტივებთ, რომ ლევან ფხაკაძე უდანაშაულოა?

რასაკვირველია... ვინც უნდა ყოფილიყო მის ადვოკატს, იგივეს გააკეთებდა. შენ თავს მესხმი, ჩემს ცოლს ესერი და თავი არ უნდა დავიცვა?! მით უმეტეს, რომ მიბჯენით არ უსვრია. ახსლეს ტყვია მოხვდა. როდესაც პოლიტდევენილთა სიაში ჩასვეს ლევან ფხაკაძე და ეს ნაციონალებმა გაიგეს, შეუთვალეს, შენ ამ სიას დაანებე თავი და ჩვენ ყველა მოთხოვნას დაგიკმაყოფილებთო, ეს ამ ოჯახმა არ გააკეთა! დღეს კი ეს ბრალდებები ნაციონალებისა და ლიგისგან მოდის. ცდილობენ, ყველასა და ყველაფერს ჩირქი მოსცხონ, ტალახში ამოსვარონ, თუმცა ჩვენ ვერაფერს ვერაფერი შეგვაჩერებს, ის, რაც გასაკეთებელია, მაინც გაკეთდება და ამ ბინძურ კამპანიას თავი დაანებონ!

თბილისის მერიამ საახალწლო განათებაზე მილიონზე მეტი დახარჯა, გაჭირვებული მოსახლეობა კი გაგვირგობინა იმედოდ დატოვა

თბილისის მერიამ დედაქალაქში საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების გამოცვლა-დამონტაჟება, პრაქტიკულად, დაამთავრა. „ვერსია“ თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ქალაქში განხორციელებულ საახალწლო სამუშაოებზე ესაუბრა, რომლის ჯამური ღირებულებაც 1 056 773 ლარია. როგორც პრესსამსახურმა გვითხრა, გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ქალაქში საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების შესყიდვას ითვალისწინებდა და რომლის ღირებულებაც 748 000 ლარით იყო განსაზღვრული, კომპანია შპს „ნუკო+“-მა გაიმარჯვა.



„მერიამ გამოაცხადა ტენდერი საახალწლო ნაძვისხის შექმნასა და მონტაჟზე, რომლის ღირებულებაც 175 573 ლარით განისაზღვრა. გამარჯვებული კომპანია შპს „ჯეო სტრიმი“. ახალი, 22-მეტრიანი ნაძვისხე რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ განთავსდა; ასევე ახალი განათებით მორთო წმინდა გიორგის მონუმენტი. აღნიშნული განათება, მორთვასა და დემონტაჟზე 33 990 ლარი დაიხარჯება და მას კომპანია „გემ ჯგუფი“ განახორციელებს. საახალწლოდ თბილისში, ასევე მოეწყობა ყინულის მოედანი, გამოცხადებულ ტენდერში კომპანია „ნიკანომ“ გაიმარჯვა და ტენდერის მიხედვით ყინულის მოედნის მონტაჟი, ექსპლუატაცია და დემონტაჟის ღირებულება შეადგენს 99 210 ლარს“ — განმარტავენ თბილისის მერიის პრესსამსახურში.

ახალი ილუმინაციებით განათდა რუსთაველის, მელიქიშვილის, ჭავჭავაძის გამზირები და კოსტავას ქუჩა. ძველი ილუმინაციები კი, რომელთა აღდგენაც მოხდა, ქალაქის სხვადასხვა უბნებში გადანაწილდა.

როგორც აღვნიშნეთ, მერიამ საახალწლო განათებასა და სამუშაოებზე მილიონ ლარზე მეტი დახარჯა, თუმცა საინტერესოა, საახალწლოდ რა შედეგებზე და შედეგობები ექნება თბილისის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომელიც გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამს მერიის მიერ საახალწლო განათებისათვის გაღებულ ხარჯებთან დაკავშირებით. „ვერსიასთან“ საუბრისას, თბილისის მერიამ აღნიშნეს, რომ თბილისის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საახალწლო ნობათს გამგეობები დაურიგებენ, თუმცა საკითხავია, რამდენად საკმარისი იქნება ეს გაჭირვებული მოსახლეობისთვის.

ბაჩო ტურაშვილი



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

				9	8		6
6			7				
9	7	8			5		
4	1			8			3
		2			7		
8		4				1	9
		3		7	9	8	
			2			3	
7	9	5					

				5	8		
5		4	3	1			8
	9			4		3	
8		2					3
3		9				7	4
	7					8	2
		1		6			5
9				8	1	2	6
			2	3			

4						9	
			3				5
3	1	9			8	4	
			8				4
5		3		2		9	6
7				5			
	3	7			2	4	8
8				6			
1							3

	2	8	7					3
6			9			8		
	7					4		
	3			4				6
5		7		9		1		4
4			8				2	
		3					4	
		5			3			8
9				8	6			7

ნავთობის მენეჯი - ქუქიაშვილი სანცა

ტეხასური კერძო კომპანია Hilcorp, რომელიც ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაზვერვით-მოპოვებით სამუშაოებს ატარებს, ცოცხალი ხნის წინ მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა დამსაქმებლის წარმოდგენილი გულუხვობის გამო. ახალი წლის კარგად გატარებისთვის, კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ჯეფ ჰილდებრანდმა საკუთარ პერსონალს უზარმაზარი ბონუსები დაურიცხა — 100 ათასი დოლარი 1381 თანამშრომელს! ეტყობა, თოვლის პაპა მართლაც არსებობს. როგორც ფირმის წარმომადგენლები აცხადებენ, გენერალური დირექტორი და პრეზიდენტი დაპირდნენ, რომ მნიშვნელოვან პრემიებს მიიღებდნენ, თუკი ხუთი წლის განმავლობაში კომპანია ორჯერ გაიზარდებოდა და მათ შეასრულეს ეს დაპირება, როცა მიზანი მართლაც მიღწეულ იქნა. აღმოჩნდა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა კომპანიაში დასაქმებულები ასეთ ბონუსებს იღებენ — 2010 წელს, დასახული მიზნის მიღწევისთვის, ყოველ მათგანს შეეძლო აერჩია საჩუქარი — 5-ათასდოლარიანი მანქანა ან 3 500 დოლარი ხელზე.



შამპანური ვეგანებისთვის



ფრანგულმა კომპანიამ Charles Duval-Leroy შესაძლებლობა მისცა ვეგანებს, მიირთვან შამპანური. მათ შეიმუშავეს ღვინის განმწმენდის მეთოდი, რომლის დროსაც მხოლოდ მცენარეულ და ეკოლოგიურად სუფთა მასალას გამოიყენებენ. აღსანიშნავია, რომ ფილტრაციის ახალ მეთოდზე მუშაობა 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჯერჯერობით ვეგანებისთვის განკუთვნილი შამპანური გაყიდვაში არ არის. ერთი შეხედვით, ცქრილა ღვინის წარმოებაში

თითქოს წარმოდგენილია ცხოველური წარმოშობის პროდუქტის გამოყენება, მაგრამ სინამდვილეში მწარმოებლები მის გარეშე არ მუშაობენ. ღვინომასალის განმწმენდის პროცესში გამოიყენება ჟელატინი, ალბუმინი კვერცხის ცილისგან და რძის პროტეინი. ისინი აკავშირებენ ნაწილაკებს და სასმელს გამჭვირვალეს ხდიან, თუმცა, ამ ნივთიერებების მიკროდოზები მაინც ხვდება შამპანურში. ეს კი მიუღებელია ვეგანებისთვის, რომლებიც ცხოველურ პროდუქტს არანაირი სახით არ იღებენ.

წინა ნომარში გასული სკანდორღისა და სუდოქუს პასუხები

ადვილი	სტანდარტი
რთული	ექსპერტი
6 5 8 7 4 9 3 2 1	7 3 5 4 1 2 6 9 8
4 1 3 2 8 6 9 7 5	8 6 2 9 7 5 4 3 1
2 9 7 1 5 3 8 6 4	4 9 1 8 6 3 7 5 2
1 8 9 6 7 5 4 3 2	1 2 8 5 9 6 3 4 7
3 2 4 9 1 8 7 5 6	6 7 9 3 4 1 8 2 5
7 6 5 4 3 2 1 9 8	3 5 4 2 8 7 1 6 9
9 7 2 8 6 4 5 1 3	2 1 7 6 5 4 9 8 3
5 4 1 3 2 7 6 8 9	9 4 3 7 2 8 5 1 6
8 3 6 5 9 1 2 4 7	5 8 6 1 3 9 2 7 4

მე-12 გვერდი: 1. ბრინჯა; 2. რიკოშეტი; 3. ნიველირი; 4. შტანგა; 5. ტუტანშამონი; 6. ნალი; 7. სკივრი; 8. ონაგრი; 9. ტატამი; 10. ატელი; 11. გოა; 12. ბოი; 13. შოლტი; 14. გუზ; 15. ბრმა; 16. გენა; 17. იზიდა; 18. შობი; 19. გენია; 20. ტარტუ; 21. „ლაციო“; 22. სტერეომეტრია; 23. პერო; 24. საარი; 25. ლიკანი; 26. ანალოე; 27. ჰიგია; 28. ლიონი; 29. პარტიტურა; 30. რეზიდენტი; 31. მიტრა; 32. რაზდანი; 33. ენგური; 34. ლიონი; 35. შტილი; 36. ტრანსი; 37. ატრია; 38. ტარო; 39. ნიკელი 40. სან-რემო; 41. ინდრა; 42. დალგო; 43. საფრა; 44. ესა; 45. ტროსტი; 46. დინგო; 47. ოინა; 48. მარკესი; 49. დანაე; 50. ბროკოლი; 51. აფალინა; 52. ენია; 53. ურნა; 54. ტროა; 55. დიუნი; 56. რაფა; 57. ანანია; 58. ასტრა; 59. დიაცი; 60. სირ; 61. ერა; 62. სასკია; 63. არგო; 64. ბასრა; 65. იბლისი; 66. ბადრი; 67. კალა; 68. სიმონა; 69. ფალკო; 70. მონა; 71. ბაობა; 72. ფოსო; 73. „მარიო“; 74. იკი; 75. ბობ; 76. იბისი; 77. ინა; 78. სტატისტიკა; 79. ცოი; 80. იტი; 81. ონი; 82. მაუ; 83. ადამი; 84. ლენი; 85. კაა; 86. ტუ; 87. იოდუმი.

კლიენტებს სუფთა ჰაერისთვის ფულს ახდებინებენ

ჩინეთის ქალაქ ჩუანციანგში მდებარე ერთ-ერთი რესტორანი კლიენტებს აიძულებს, გადაიხადოს საფასური იმ ჰაერისთვის, რითაც ისინი დაწესებულების კედლებში სუნთქავენ. რესტორნის მფლობელებმა შენობაში ფილტრაციის სისტემა დააყენეს და ხარჯებს ანგარიშისთვის ერთი იუანის (15-16 ცენტი) დამატებით ფარავდნენ ისე, რომ კლიენტებს წინასწარ არ აფრთხილებდნენ. ზოგიერთმა მომხმარებელმა უკმაყოფილება გამოთქვა ჩუკში არსებული ახალი პუნქტის გამო, რის



შემდეგაც რეგიონის მთავრობამ რესტორნის მფლობელები აიძულა, ხელი აეღოთ ამგვარ პრაქტიკაზე. მათი განცხადებით, მომსახურება პროდუქტის სახით არ უნდა იყიდებოდეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო კვირების განმავლობაში რეგიონის ქალაქებში ჰაერის დაბინძურების რეკორდული მაჩვენებელი ფიქსირდება — ქუჩებში ხილვადობა 100 მეტრზე ნაკლებია.

ესპანეთში ფერადი ქალაქი გარდდება

პატრა ქალაქი მოკლინეხო, რომელიც პირენეებზე, ანდალუზიაში მდებარეობს, შესაძლოა, პირველი დასახლებული პუნქტი აღმოჩნდეს, სადაც მხოლოდ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები იცხოვრებენ. თუკი მომავალი წლის იანვარში დაგეგმილ რეფერენდუმზე ქალაქის 1274 მოსახლიდან ათასი მაინც იქნება ამ იდეის მომხრე, მოკლინეხოს ყველა სახლს ვარდისფრად შეღებებენ. ცნობილია, რომ ქალაქის მერი მხარს უჭერს ინიციატივას, რომელიც ყოველწლიური გეი-ალღუმების ორგანიზატორს ეკუთვნის. უკვე ხელმოწერილია კონტრაქტი რამდენიმე კომპანიასთან 600 ახალი სახლის აშენებაზე და სახლებმა სექსუალური უმცირესობის ესთეტიკური მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს. მოკლინეხოში ახალი პარკის გაშენებაც იგეგმება, სადაც გეებსა და ლესბოსელებს პარტნიორების შერჩევა შეეძლება.



